140
1984/2

ISSN 0132-[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯორჯაობ

2
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი (1914—1984).

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიადი საქმის თავდადებული სამსახურის ნიმუშია, ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარელიაში დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხსაგებ უბნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

ხანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურღვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარებული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს— საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდია იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს —თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების უკუგდების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევია. პარტია აღჭურვილია სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განახორციელებს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფხიზლე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მომძე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფართო მასები, რომლებიც თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის იღვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ და განუხრელად განახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტიურად ვითანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან პატიოსნად და კონსტრუქციულად იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად აფასებს ხალხის ნდობას და თავისი საქმიანობის უმაღლეს მიზნად მიაჩნია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი ყოველთვის დარჩება როგორც მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახლოებული, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ყველაფერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩენენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულობას, თავიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდასახული, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929-1930 წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966-1971 წლებში იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერნენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (ჰელსინკი. 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუნდვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სკკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟამთავალი და ლეგენდარული

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახელოვანი ისტორია, სამშობლოს დამცველთა მამაცობა ყოველთვის იწვევდა პიონერთა და მოსწავლეთა ცხოველ ინტერესსა და პატივისცემას. ეს შემთხვევითი როდია: ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სიმამაცის მაგალითები, სჭირდებათ პიროვნება, რომელიც მათი ცხოვრების გზას გააშუქებს. ბევრ იმათგანს ხომ, ვინც დღეს ალისფერ ყელსახვევს ატარებს, ხვალ სამხედრო სამსახურში სავალდებულო საპატიო მისიის შესრულება მოელის.

ამიტომ, როცა თბილისის 128-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღესასწაულის წინადღეებში სთხოვეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ა. ი. შირინკინს, მეგზურობა გაეწია მათთვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმში, იგი მოუცლელობის მიუხედავად (ალექსი ივანეს ძე, ამავე დროს არის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამხედრო საბჭოს წევრი), სიამოვნებით დათანხმდა.

სულ მალე პიონერები შეხვდნენ გენერალ-ლეიტენანტ ა. შირინკინს მუზეუმის ფოიეში, ერთად დაიარეს დარბაზები, გაეცნენ საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი არმიის დიდებულ ტრადიციებს.

— ყურადღება მიაქციეთ, — დაიწყო საუბარი ალექსი ივანეს ძემ, — ექსპოზიცია იხსნება პირველი ლენინური პოლიტიკური დოკუმენტებით: „დეკრეტი მშვიდობის შესახებ“, „დეკრეტი მიწის შესახებ“, „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყანა არსებობის პირველივე დღეებიდან მშვიდობიან კურსს დაადგა და შეიარაღებული ძალები მას მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის უღრუბლო ცის დასაცავად სჭირდებოდა.

ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. გენერალ-ლეიტენანტმა პიონერებს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა შეახსენა. ომი ლიბანში, დამოუკიდებელი გრენადის დაპყრობა, დაუფარავი მუქარა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ქვეყნების მისამართით — აი, ჭეშმარიტი არსი იმპერიალიზმისა. ამიტომაც საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დგას — დაიცვას ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება.

...ექსკურსანტები ყურადღებით ათვალიერებენ საქართველოს სახალხო მხატვრის ი. ვეფხვაძის სურათს — „ვ. ი. ლენინი აცილებს წითელარმიელებს ფრონტზე“. სურათზე ცხადად ჩანს ბელადის მამობრივი ზრუნვა რევოლუციის ჯარისკაცებისადმი.

სწორედ ლენინის სახელთანაა დაკავშირებული წითელი არმიის შექმნის, მისი პირველი წარმატებების, აგრეთვე ლეგენდარული მე-11 არმიის საბრძოლო ისტორია.

1920 წლის 15 მარტს კავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს ვ. ი. ლენინს, შემწეობა აღმოეჩინა კონტრრევო-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

ჰიონერი

2 თებერვალი 1984

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლუციონერებთან ბრძოლაში. 1920 წლის 17 მარტს კავკასიის ფრონტის რევოლუციური საბჭოსადმი გაგზავნილ დეპეშაში ლენინი დაუყოვნებლივ დახმარებას შეჰპირდა აზერბაიჯანის რევოლუციურ ძალებს. წითელ ნაწილთა ავანგარდში ჯავშნოსან მატარებელთა ჯგუფი მოდიოდა. მეწინავე „მესამე ინტერნაციონალში“ რაზმის მეთაური მ. ეფრემოვი, კომისარი ი. დუდინი და ა. მიქოიანი იმყოფებოდნენ. პიონერებმა დიდი გულისყურით დაათვალიერეს მატარებლის მოქმედი მაკეტი, რომელიც აზერბაიჯანელმა ოსტატმა დაამზადა.

ეს ლეგენდარული ჯავშნოსანი მატარებელი ბაქოს სადგურში 28 აპრილის სისხამ დილას შეიჭრა. ხოლო ნახევარი წლის შემდეგ წითელმა არმიამ თავისუფლება მოუტანა სომხეთის მშრომელებს.

ბევრი მასალა მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

1921 წლის თებერვალში, სომეხი დაშნაკების კონტრრევოლუციური ამბოხების დახშობის შემდეგ, წითელი არმია საქართველოს რევკომის თხოვნით თბილისის გასათავისუფლებლად გამოემართა.

ეს იყო მე-11 არმიის ყველაზე მძიმე ლაშქრობა. ჯარს, რომელსაც ჰ. კურიშკო ხელმძღვანელობდა, უნდა გადაელახა მდინარე ალაზანი, გაენადგურებინა მენშევიკური ნაწილები სიღნაღის რაიონში, აჯანყებული მუშების მხარდაჭერით ალყა შემოერტყა თბილისისათვის მცხეთის, ნავთლულისა და მანგლისის გზებიდან.

მუზეუმის ექსპოზიციებში შეიძლება ამ გმირული ლაშქრობის მონაწილეთა პირადი ნივთებისა და იარაღის ნახვა.

25 თებერვლის ღამით, მძიმე ბრძოლების შემდეგ, წითელმა არმიამ გაათავისუფლა თბილისი. სერგო ორჯონიკიძემ ასეთი დეპეშა გაგზავნა: „მოსკოვი, კრემლი — ლენინს, სტალინს. თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

დამთავრდა პირველი დარბაზის დათვალიერება. პიონერები გადადიან მეორე და მესამე დარბაზებში, რომლებიც ასახავენ 1921-1941 წლების პერიოდში წითელი არმიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიას. ექსპონატები გვამცნობენ, თუ როგორ გარდაიქმნა კავკასიის ფრონტი ცალკე კავკასიის არმიად, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის არმიები.

მუზეუმში დადგმულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრების — შ. ელიავას, ა. ქარდავას, გ. მიასნიკოვისა და გაის ბიუსტები.

მშვიდობიან წლებში წითელი არმია სისტემატურად იმაღლებდა საბრძოლო ოსტატობას, ემზადებოდა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

იმ წლებში სამხედრო მფრინავებმა კავკასიონის ქედს გადაუფრინეს და მოსკოვს ჩავიდნენ.

მთებში ხმელეთის ჯარები საომარ

ჟღერს მხედრული ფიცის სიტყვები.

მუზეუმის მთავარ შესასვლელთან გარინდულა საპატიო ყარაული.

განსაკუთრებული მღელვარებით ათვალიერებენ ექსკურსანტები სამამულო ომის ამსახველ ექსპონატებს.

ვ. აგულაძისა და
შ. აივაზოვის ფოტო.

ოპერაციებს აწყობდნენ, ტარდებოდა ალპინისტური ასვლები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ერთ-ერთ ვიტრინაში გამოფენილია ნ. შაპოვალოვისა და ფ. ჩარგეიშვილის ფარაჯები, ნაბდები და ალპინისტური ქურთუკები. ამ გმირმა მეომრებმა მონაწილეობა მიიღეს გახმაურებულ ოპერაციაში გორიზეკარის უღელტეხილის დალაშქვრაში.

ბევრი ექსპონატი მოგვითხრობს ომისწინანდელ დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამიერკავკასიის მეომრებს კარგად ესმოდათ რთული პოლიტიკური სიტუაცია და ემზადებოდნენ მოახლოებული ბრძოლებისათვის.

... განსაკუთრებული მღელვარებით შევიდნენ მოსწავლეები მეოთხე დარბაზში, რომლის ექსპოზიცია დიდი სამამულო ომის პირველ, ყველაზე ტრაგიკულ პერიოდს ასახავს. აღელვებას ვერც გენერალ-ლეიტენანტი ფარავს. იგი ხომ 12 წლისა იყო, როცა ფრონტზე წავიდა, ომის ცეცხლოვანი გზებით ათასობით კილომეტრი განვლო, ოთხჯერ მძიმედ დაიჭრა, ათობით თანამებრძოლი დაკარგა...

195-ე მსროლელთა პოლკის მეხუთე ასეულის მზვერავი გრიგოლ სხულუხია ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს და არაადამიანურად აწამეს, ზურგზე დანით ამოჭრეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი, მაგრამ სამხედრო საიდუმლოების გაცემას, მან სიკვდილი ამჯობინა. სასტიკ ბრძოლებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ჰიტლერელთა „ელვისებური ომის“ გეგმების ჩაშლა, მაგრამ 1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ფაშისტები კავკასიას მოადგნენ.

კავკასიის დაცვის თემას მუზეუმის მასალებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. ასობით დოკუმენტით, ფოტოსურათითა და წმიდათა წმიდა რელიკვიებით იხსნება იგი. აქ წარმოდგენილია ამიერკავკასიის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, არმიის გენერალ ი. ტიულენევის სადღესასწაულო მუნდირი, საბრძოლო ჯილდოები და პირადი ნივთები.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა უღელტეხილებზე. ამაზე მეტყველებენ სამძებრო ექსპედიციების მიერ ნაპოვნი მასალები: ტყვიებით დახვრეტილი ჩაჩქნები, ნაღმები, იარაღი, სავაზნეები. ეს ექსპონატები იმ ნივთების ნაწილია, რომლებიც აღმოაჩინეს ქლუხორისა და სანჯაროს უღელტეხილებზე.

კავკასიისათვის ბრძოლის სურათებს თვალნათლივ ასახავს მთების რელიეფური რუკა, რომელსაც მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში 144 კვ მეტრი ფართობი უჭირავს.

მუზეუმის ექსპონატები მოგვითხრობენ, აგრეთვე, ჩვენი სამი რესპუბლიკის ხალხის გმირულ შრომაზე ზურგში. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა არა მარტო იარაღით, არამედ საკუთარი დანაზოგითაც ეხმარებოდა სამშობლოს. საქართველოს კოლმეურნეებმა შეაგროვეს თანხა სატანკო კოლონის ასაგებად.

მრისხანე ომში გამარჯვების შემდეგაც ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან, რათა დაიცვან სოციალიზმის მონაპოვარი.

მუზეუმის შემდგომი ექსპოზიციები მოგვითხრობენ, თუ როგორ ეუფლებიან მეომრები ახალ საბრძოლო ტექნიკას, სრულყოფენ თავიანთ ცოდნას. ამაზე მეტყველებენ სტენდები „წვრთნა“ და „კავკასია“. მათში ასახულია, თუ როგორ მოქმედებენ რთულ მდგომარეობაში მეომრები. სამხედრო ოპერაციები დასერილ, ძნელადგაუვალ ადგილებში მიმდინა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს, თოვლით დაფარული უღელტეხილების გადალახვა უწევთ. სსრკ თავდაცვის მინისტრმა, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს 1965 წელს ეწვია, აღნიშნა, რომ მეომრებს შესწევთ უნარი შეასრულონ საბრძოლო ოპერაციები ყველაზე რთულ პირობებშიაც კი. ორი წლის შემდეგ კი მოხდა ამ ოლქის ისტორიაში მეტად სასიხარულო მოვლენა — მის დროშაზე წითელი დროშის ორდენი აკიაფდა.

ამ დარბაზში იმდროინდელ მეომართა ბევრი მამაცური მოქმედების ამსახველი ექსპონატია გამოფენილი. აი, მაგალითად, წითელი დროშის ორდენის კავალერი, ეფრეიტორი ნ. პიასკორსკი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სამხედრო მოვალეობისა, ბრძოლისას... მებრძოლმა ვ. სვინარიკმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა მეგობარი, რომლის პარაშუტიც არ გაიხსნა...

ექსპოზიცია „მხარე, სადაც მსახურობ“ მოგვითხრობს ქართველ მშრომელთა შრომით მიღწევებზე, სამხედრო ნაწილებთან მათ კავშირსა და ურთიერთობაზე.

... ექსკურსია დასასრულს უახლოვდება. გენერალ-ლეიტენანტი ა. შირინკინი პიონერებს იწვევს დარბაზში, სადაც საბჭოთა კავშირის გმირთა ბიუსტია დადგმული, მათი გვარები კი ოლქის ნაწილების სამუდამო სიაშია შეტანილი.

ა. ი. შირინკინმა თქვა, რომ ამიერკავკასიის ოლქის ჯარების მეომრები დღესაც ღირსეულად ასრულებენ ლენინის ანდერძს სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ. დღენიადაგ იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, სამხედრო დისციპლინას.

გენერალ-ლეიტენანტმა მოუწოდა პიონერებს, აქედანვე ემზადონ სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის, და თუკი სამშობლო მოითხოვს, დაიცვან იგი ისევე გმირულად და მამაცურად, როგორც მათმა პაპებმა გააკეთეს.

ვ. მიროშნიჩენკო,
გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“
კორესპონდენტი, კაპიტანი.

ჩვენი ეკეუური, ჩვენი ჯეჯუული

ზ ი ვ ი ძ ნ ე ლ ა ძ ე





შენს ველ-მინდვრებზე
ვრიალებს ახლა
მაცოცხლებელი, მზიანი ქარი,
ვარ შენი აწმყოს მადიდებელი,
შენი დღეების დარაჯად მდგარი.
ვისაც აწმყო და წარსული უყვარს,
მომავლის დღეზეც იფიქროს უნდა,—
მომავლისათვის წვა და წვალება
კაცობის წესი ყოფილა მუდამ!
და თუ მოვდუნდე — შემომიძახე,
რომ ვარსკვლავებში
დავრეკო ზარი,
რომ ჩახჩახებდეს
და ლივლივებდეს
შუქი მზისა და ნათელი მთვარის.

II

შენ იმდენი სისხლი ღვარე, —
შენ იმდენი ცრემლი ღვარე, —
დაო ჩემო!
ძმაო ჩემო! —
სისხლი — ცრემლი, ცრემლი—ცხარე,
შენ იმდენჯერ მოირთველე
ლაჟვარდიდან მწიფე სიტყვა,
იმდენჯერ ხარ უკვდავქმნილი
სიქველით და სიკეთითა, —
შენზე მართლაც ალალია
ეს ლამაზი სასწაული, —
შენი ოფლის, შენი ცრემლის,
შენი სისხლის საზღაური!..

III

ყოველ დღეს მოაქვს რაღაც ახალი,
ხვალის დღეს მოაქვს
ზეიმი მზეთა,
ლივლივებს მზეში რწმენა მაღალი—
საქართველოის ასულთა!..
ძეთა!..
ყოველდღე გვახლავს სიახლის განცდა,
მოდის გუგუნით დღეთა მსვლელობა,
ჩვენ ვიტყვით სიტყვას —
ნაღდსა და მართალს, —
ვით ეკადრება ჩვენს ქართველობას.
შენს უქრობ ნათელს
და მაღალ სახელს
არვის დავუთმობთ
სიცოცხლის ფასად, —
მხარზე დამარტყი,
სამშობლოვ, ხელი
და მეც ჩამთვალე
შენს ერთგულ კაცად.

იუნგა, ჭეღრდი!

ნუგზარ აუხაზავა

მოთხრობა

მხატვარი ჯემალ ლოლუა

წინ მიმავალმა მმ-04-მა კვამლის შვეული ფარდით დამიზნების საშუალება მოუსპო მტრის სანაპირო არტილერიას. სკა-065, ის იყო, ამოეფარა ამ ფარდას, მაგრამ ბადრაგი უკვე გამოთოფილი იყო და ჟენია საზენიტო ტყვიამფრქვევს მოსწყდა თუ არა, კატარღის ცხვირისაგან მარჯვნივ, სულ ორი ათეული მეტრის დაშორებით, ზღვაში ყუმბარა გასკდა. კატარღა მკვეთრად შეირყა, ჟენია წაიქცა, გაცურდა და ლეერისათვის ხელის ჩავლება რომ არ მოესწრო, ზღვაში გადავარდებოდა. ბიჭი არ შემკრთალა — შიშისთვის სად ეცალა! — წამოხტა, ზედა ლეერს მოეჭიდა და წამში ბენზინის ავზთან გაჩნდა.

— იუნგა! ზღვაში, ზღვაში გადაუძახე! — თვითმფრინავების ზუზუნსა და ქვემეხების ჭექაში მოესმა ერშოვის ბრძანება.

ჟენია ორივე ხელით მოეჭიდა ლეერს, სამაგრი ბაგირის კვანძი გახსნა და ავზს მხრით მიაწვა. მთავარი იყო მისი წაქცევა, მერე კი ადვილად ჩააგორებდა წყალში. მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა, რადგან კატარღა წამდაუწუმ იცვლიდა სიჩქარესა და მიმართულებას და ჟენიამ კარგა ხანს ვერ მოახერხა თავისი ძალის კონცენტრირება. ბოლოს ავზი შექანდა, ბიჭი მთელი ღონით მიაწვა და, როგორც იქნა, წააქცია. ავზი გრუხუნით დაენარცხა გემბანს. ჟენიამ ქვედა ლეერი აქაჩა და გზა გაუთავისუფლა. ავზი ტყაპანით ჩავარდა წყალში, ჩაიძირა და როცა ისევ ამოტივტივდა, ცეცხლი აღარ ეკიდა.

ხანძრის კერა კი მოისპო, მაგრამ ალის ენა სწრაფად მიიწევს წინ ქიმის გასწვრივ და სიღრმულ ბომბებამდე ორიოდე მტკაველიღა რჩება... ამ მხარეს რვა ბომბია მხარ-თეძოზე არხეინად წამოწოლილი... ჟენიას გული შეუქანდა, — არა, შიშით არა, აკი ვთქვი, შიშისთვის არ ეცალა-მეთქი! — ეს ბომბები რომ აფეთქდეს, მარტო სკა-065-ს კი არა, არც „იაკორსა“ და მმ-04-ს დაადგებათ კარგი დღე — საზენიტო არტილერიის ცეცხლის მეტი კომპაქტურობის მიზნით ხომ სატრანსპორტო გემმაც და ბადრაგმაც ინტერვალები შეამცირეს და საკმაოდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს!.. მტრისას, ეს ბომბები რომ აფეთქდეს!.. წყალში გადაყაროს?.. იქნებ ხანძრის ჩაქრობა ეცადა როგორმე?..

ჟენიამ სწრაფად გაიხადა ბუშლატი, ჩაიჩოქა, ქვედა ლეერს ჩაეჭიდა და ქიმის მიღმა გადაიზნიქა. წამით თავბრუ დაეხვა სიჩქარისაგან, მაგრამ თვალები მაგრად დახუჭა და თავბრუსხვევამ სწრაფად გაუარა. ბუშლატი რამდენჯერმე გაავლო წყალში, კარგად გაჟღინთა, ისე, რომ მისი ამოთრევა გაუჭირდა კიდეც. ფეხზე აღარ წამომდგარა, ორჯერ გადაკოტრიალდა და ზუსტად სიღრმულ ბომბებთან აღმოჩნდა. სწრაფად წამოიჩოქა და სველი ბუშლატი ცეცხლის ენას გადააფარა.

— ყოჩაღ, იუნგა! — მოესმა ერშოვის ხმა. — ყოჩაღ! ბიჭი ხარ, რომ უნდა — ისეთი!

ორი „ჰაინკელი“ ისევ წამოვიდა პიკეთი, ზურგიდან უახლოვდებოდნენ კატარღას. ჟენია ორი ნახტომით მეზენიტესთან გაჩნდა.

— მოდით, აბა ერთი ახლოს მოდით! — კბილებში სცრიდა გრიშა. — ყოჩაღ, ჟენია, გიყურებდი, მაგრამ ტყვიამფრქვევი ვერ მივატოვე!.. ლენტები მოიტა!.. მოდით, თქვენი!.. აი, ეგრე!

ტყვიამფრქვევი ისევ აჭხჭახდა.

— არის! — უცებ დაიჭექა კუროპიატნიკოვმა. — არის! ეგეც შენ! მოგხვდა თუ არა, ძაღლიშვილო!

ერთ-ერთი „ჰაინკელი“ ჰაერში გულაღმა ამოტრიალდა, ცხვირით ძირს წამოვიდა და ისე გაუჩინარდა წყალში, ვითომ შიგ ნემსი ჩავარდნილიყოს. მეორე მყისვე შეტრიალდა და სწრაფად წავიდა მაღლა.

...იმ დღეს ბადრაგის მეთაურმა, კაპიტან-ლეიტენანტმა გიორგი გოდლევსკიმ პირადად გამოუცხადა მადლობა იუნგა ევგენი ტოპრაკაშვილს საზღვაო ბრძოლაში გამოჩენილი საზრიანობისა და მამაცობისათვის.

რამაზს გაეღიმა, მხედრულად მხრებში გამართული, მეტისმეტი მონდომებისაგან წელში გაზნექილი ტანმორჩილი ჟენია რომ გაიხსენა.

კოპებშეკრული, ბაგეებმოკუმული უსმენდა კაპიტან-ლეიტენანტს. სახეზე ერთი კუნთიც კი არ შერხევია.

საწყალი ბიჭი! რაც მამა დაეღუპა, თითქოს საერთოდ

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 11, 12, (1983 წ.), 1.

ქართული ბიბლიოთეკა

გადაავიწყდაო ღიმილი. თითქოს აღარაფერი უხარია. ხომ ყოველთვის დინჯი და თავდაჭერილი იყო თავის ასაკთან შედარებით, მაგრამ ახლა მეტისმეტია... გული გაუქვავდა ბიჭს...

სარიჩის ბრძოლაში სკა-065 რამდენიმე ადგილას დაიჭრა, ამიტომ კატარღა ერთი დღე-ღამით სოჭის ნავსადგურში დააყენეს შესაკეთებლად, ხოლო ეკიპაჟს ოცდაოთხსაათიანი თავისუფლება მისცეს.

ოდიკაძე ნავსადგურიდანვე დაუკავშირდა ჰოსპიტლის მთავარ ექიმს. გამოირკვა, რომ კლავდია ფედოროვნა ღამით მორიგეობდა და ახლა, წესით, შინ უნდა ყოფილიყო.

რამაზმა ჟენია ჭიშკრამდე მიაცილა.

— არ შემოხვალ, რამაზ? დედას არ ნახავ? — ჰკითხა ჟენიამ.

— რომ ეძინოს?.. მოდი, გადავდოთ. საღამოს შემოგივლით. ბარემ დაისვენოს, ცოდოა, ქალი მთელ ღამეს მუშაობდა. მოდი, შენც მოატყუე თვალი. — ბეჭებში მსუბუქად წაჰკრა ხელი. — არ გაწყენს. აბა, მარშ, იუნგა!

— კარგია, რომ მოხვედი, რამაზ! — კლავდია ფედოროვნა კართან შეეგება სტუმარს — ფანჯრიდან შეენიშნა ეზოში შემოსული ოდიკაძე. — ერთ საათში წასასვლელი ვარ და რომ ვერ მენახე, გული დამწყდებოდა.

— მიიზიდა და ლოყაზე აკოცა. — რას შვრები, როგორა ხარ?

— რა ვიცი, ვარ, ვომობ, — ხელები გაშალა რამაზმა. — ჯერ ტყვია არ მეკარება. თავად როგორა ხართ?

— ისე, საშუალოდ...

„საშუალოდ“ კი არა, ქმრის დაღუპვის შემდეგ ძალზე შეიცვალა კლავდია კოზლოვა, მწუხარებამ და მძიმე შრომამ, გაუთავებელმა უძილობამ და ნერვულობამ დაასვა თავისი დაღი.

ჟენია ფანჯარასთან მიმჯდარიყო და მეზღვაურული ქამრის ბალთას აპრიალებდა. ფანჯრის რაფაზე, უბის წიგნაკის გვერდით მისი პირველი საბრძოლო მედალი იდო — „ოდესის დაცვისათვის“. ბიჭმა მხოლოდ წამით ასწია თავი, რომ მოსულისთვის შეეხედა.

— კარგია, რომ მოხვედი... — გაიმეორა კლავდია ფედოროვნამ.

— მოხდა რამე? — იკითხა ოდიკაძემ. — რაღაც შეფიქრიანებულები მეჩვენებით. ჩვენი იუნგაც, თითქოს, ვერაა გუნებაზე, ალბათ, მოსაწყენი არაფერი აქვს, პირიქით: გოდლევსკის ჯილდოზე წარუდგენია ტოპრაკაშვილი, ერშოვი და კუროპიატნიკოვი. შტაბში მითხრეს დღეს.

ჟენიას თითქოს არაფერი გაეგონოს, იჯდა და თავის საქმეს განაგრძობდა.

— მართლა? — წამით თვალებში სინათლე ჩაუდგა დედას. — სარიჩის ბრძოლისთვის, ალბათ...

— დიახ. ჟენიამ გიამბოთ?

— არა. ჟენია ასეთ ამბებზე არ ლაპარაკობს, ამ დილით გავიგე ჰოსპიტალში. ოღონდ ჯილდოზე არაფერი უთქვამთ.

— წარმოგიდგენიათ? მადლობა არ აკმარეს და ჯილდოზედაც წარადგინეს, — რამაზმა თვალი ჩაუკრა კლავდია ფედოროვნას. — ბედი სწყალობს ზოგიერთს!

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— ვიკამათეთ წეღან, — ამოიოხრა კლავდიამ. — არ მიჯერებს. იქნებ შენი შეისმინოს, რამაზ, უთხარი რამე: ფლოტის მიტოვება მოვთხოვე, ამან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ვერაო. ვერა კი არა, არაო, კატეგორიული უარი მითხრა.

— მაშ, არაო? — ოდიკაძემ ჟენიას გახედა.

— არაო, არ შემიძლიაო, უფლება არ მაქვსო, სინდისი არ მანებებსო, ეკიპაჟს ვერ ვუღალატებო, მამისთვის მიცემულ სიტყვას ვერ გადავალო, — აი, მისი არგუმენტები...

— კაცმა რომ თქვას, ძლიერი არგუმენტები კია, — ფრთხილად შეაპარა რამაზმა. — უარისთვის ერთი მათგანიც იკმარებდა.

— ძლიერია, მართალი ხარ, — უნებლიეთ დაეთანხმა კლავდია ფედოროვნა. — არ უარვყოფ, ასეა, მაგრამ მე? მე რაღა ვქნა? თურმე ეკიპაჟს ვერ უღალატებს, დედის ღალატი კი შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ომია, კლავდია ფედოროვნა!

— ჰოო, რამაზ? ომია, არა? ჰოდა, მეც მაგას არ ვჩივი, სწორედ ამის არ მეშინია? ჩემი ვანო ომმა შეიწირა, მეც ხომ ყველაფერს ვაძლევ ამ წყეულ ომს, და ნუთუ ეს ცოტაა? შენ გგონია, ეგ რომ სრულწლოვანი იყოს, ხმას ამოვიღებდი? მაგრამ ბავშვს რა უნდა ომში?.. შენ თუ იცი, რამდენი წლისაა ჟენია?

— როგორ არ ვიცი! იანვარში თერთმეტი წელი შეუსრულდა. მთელმა ეკიპაჟმა ზეიმით აღნიშნა. ტკაჩენკომ, ჩვენმა ბოცმანმა, ნახევარი ლიტრი სპირტიც კი გამოიმეტა. ისე მოვილხინეთ...

— სულ ხუმრობ, რამაზ... თერთმეტი წლისაო, ამბობ... ერთი მითხარი, თერთმეტი წლის მატროსი გაგონილა?

— მატროსი — არა, იუნგა...

— სულ ერთია, რამ გაყო მატროსი და იუნგა! მაგის ადგილი სამხედრო კატარღაზე კი არა, სკოლაშია. აი, ამაზე ვდაობთ. თბილისში გავგზავნიდი ჩემს ძმასთან,



მიჩაილთან. მეორე ძმის შვილი, კატიაც იქ არის. ერთად იცხოვრებდნენ და ისწავლიდნენ...

ჟენია წამოდგა, ქამრის ბალთას სახელო გადაუსვა და სინათლეზე გახედა.

— დედი, აკი გითხარი ჩემი სათქმელი, — თქვა ხმადაბლა, ალერსიანად, მაგრამ თან მტკიცედ და შეუვალად. — მერხს მხოლოდ მაშინ მივუჯდები, როცა ფაშისტებს გავრეკავთ. ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა, დედი. მოდი, დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი.

ჟენიამ ქამარი გაიკეთა, მედალი დაიკიდა მკერდზე.

კლავდიამ ამოიოხრა.

— მიდი, შვილო, გრაფინით ახალი წყალი შემოგვიტანე...

რამაზმა თვალი გააყოლა ბიჭს.

— ნუ გაუწყრებით, კლავდია ფედოროვნა, გევედრებით. კატარღაზე ყოფნა ახლა ერთადერთი ნუგეშია მაგისთვის. მამის გამო ჩუმი ფიცი აქვს დადებული. თქვენ ეს ჩემზე უკეთ იცით.

კლავდია იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, სახე ხელისგულებში ჩამალა.

— ჰო, მაგრამ... აი, მომისმინე, საიდუმლოდ გეტყვი, რამაზ, ძმაო: ჟენია ისე შემოვიდა დღეს ოთახში, არაფერი გამიგია, მკვდარსავით მეძინა. რაღაც სიზმარმა გამომაღვიძა. ძლივს გავახილე თვალი. ჟენია სარკესთან იდგა. აი, მანდ, შენს უკან. მეზღვაურის ფორმა გაეხადა. ერთადერთი თეთრი პერანგი აქვს, საგულდაგულოდ შენახული ჩემს ჩემოდანში, ის მოეძებნა, ჩაეცვა და ყელზე პიონერული ყელსახვევი გაეკეთებინა. წითელი ყელსახვევი... თვალმოჭუტული ვუყურებდი, სუნთქვა შევიკარი, არ მიხვდეს, რომ მღვიძავს-მეთქი... ხან მარჯვნივ მიტრიალდებოდა, ხან — მარცხნივ, თავის გამოსახულებას აკვირდებოდა სარკეში... აკი გეუბნები, ბავშვია-მეთქი, შენ კიდევ... — კლავდიას ხმა აუთრთოლდა. — არც კი ვიცოდი, შენახული თუ ჰქონდა ის ყელსახვევი, ან სად ინახავდა ნეტავი?

— უბით დააქვს, — რამაზმა პაპიროსი ამოიღო. — შეიძლება მოვწიო? გმადლობთ. — ასანთს გაკრა. — დიახ, უბით დაატარებს. ღამით, ძილის წინ, გაშლის, ხელს გადაუსვამს, მერე დაკეცავს და სასთუმალქვეშ ამოიდებს... რამდენჯერ შემინიშნავს...

— მოგიკვდეს დედა, შვილო, — ჩაიჩურჩულა კლავდია ფედოროვნამ.

— მთელმა ეკიპაჟმა იცის ეს. მაგრამ ჩუმად ვართ ყველანი.

12

შავი ზღვის ფლოტის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მცირე მიწას და რეგულარულად ამარაგებდა მას მეომრებით, საბრძოლო მასალითა და სურსათით. ფლოტის ხომალდებმა ნოვოროსიისკისათვის ბრძოლის შვიდი თვის განმავლობაში რამდენიმე ათასჯერ გადასერეს უზარმაზარი მანძილი ფოთიდან (სადაც ამ დროს შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა იყო) ცემესის ყურემდე, გადაზიდეს ათასობით ტონა ტვირთი და გადაიყვანეს ათასობით საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი.

ყოველი რეისი საშიში და ხიფათიანი იყო, სიკვდილი ყველგან იყო ჩასაფრებული.

იმ ხომალდებს შორის, რომლებმაც ივაჟკაცეს და მტერს კავკასია არ დაანებეს, „პატარა კრაზანები“ — კატარღებიც იყო და მათ შორის — სკა-065 სადარაჯო კატარღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატარღა შესამჩნევად ირწეოდა. მთელი ცურვის განმავლობაში ზღვაზე საკმაოდ ძლიერი ნორდ-ოსტი ქროდა და ღელვა, ალბათ, სამ ბალზე ნაკლები არ იქნებოდა. ძრავების ყრუ, მონოტონურ გუგუნს ხანდახან წყლის მძიმე ჩხრიალი და შხაპუნი ერეოდა — თამამი ტალღა ზოგჯერ ზედ გადაუვლიდა ხოლმე გემბანს.

თუ ამ თანაბარ ხმაურს ყურს შეაჩვევდი, შეიძლებოდა ჩაგეთვალა, რომ კუბრიკში სიჩუმე და სიმშვიდე სუფევდა, თანაც სასიამოვნოდ თბილოდა. გარეთ კი ამ დროს კუნაპეტი ღამე იდგა, შავი ღრუბლები ზედ წყლის ზედაპირს ჩამოსწოლოდნენ, ცასა და ზღვას შორის მიჯნა წაშლილიყო და ცივი, წვრილი, ნემსივით ჩხვლეტია წვიმა ცრიდა.

კუბრიკში უცებ დაუბერა — ტრაპი კოლია ერშოვმა ჩამოიარა. ხელები დაიორთქლა, ბუშლატი გაიხადა და ნარზე კი არ დაჯდა, დავარდა.

— ჯოჯოხეთია, დალახვროს ეშმაკმა!

— სადა ვართ? — თავი წამოსწია ფედია ფომინმა.

— ეს-ესაა, ჯანსოთის ტრავერზს გავცდით. მალე გელენჯიკს ჩავუვლით.

სურსათითა და ტყვია-წამლით დატვირთულ პატარა ტრანსპორტს მიაცილებდნენ. ტრანსპორტი კილვატერში* მიჰყვებოდა სკ-065-ს.

— შტორმი რომ არ ყოფილიყო, ახლა ცემესის ყურეში ვიქნებოდით, — ხმადაბლა თქვა გრიშამ და საათზე დაიხედა. — რამდენი დრო დავკარგეთ! გელენჯიკის მიდამოებში უკვე ინათებს, და თუ დილით ზღვაზე ნისლი არ ჩამოწვა, გაგვიჭირდება.

სასთუმალზე თავი მისდო თუ არა, კოლია ერშოვს მაშინვე ჩაეძინა, თვალის დახუჭვაც ძლივს მოასწრო. კუბრიკის ბოლოში ხმადაბლა ხვრინავდა მოტორისტი ლიონია იაშინი.

— დღეს დედაშენის წერილი მიიღე, არა? — ჰკითხა ჟენიას გრიშა კუროპიატნიკოვმა. — თუმცა რაღა დღეს — გუშინ...

— ჰო.

— რაო, რასა გწერს?

— ისეთს არაფერს. თბილისშიაც უჭირს ცხოვრება ხალხს.

— ჩვენ უფრო გვიჭირს.

— ჰო, მაგრამ არც იქ არიან დალხინებულები. დღედაღამ მუშაობენ, წელზე ფეხებს იდგამენ.

— მთელ ქვეყანაში ასეა ახლა, ძამიკო. ახლა ან შაშხანა უნდა გეჭიროს ხელში, ან დაზგასთან უნდა იდგე.

— ეგ ხომ ეგრეა...

ილუმინატორში განთიადის ნათელი აციაგდა, მაგრამ არა მხიარული და ხალისიანი, არამედ რაღაცნაირი რუხი და უნიათო. მაგრამ ღამის თვალშეუდგამ წყვდიადს ჟენიას მაინც ეს ერჩივნა.

ბიჭი ფრთხილად, უხმაუროდ ჩამოხტა ნარიდან და ბუშლატს მისწვდა.

— საით? — ჰკითხა გრიშამ, ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

— ვიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი, შენ კი... გემბანზე ავალ. მალე ჩვენი ვახტის დროც მოვა. თანაც გათენდა უკვე.

— ჰოდა, დაგეცადა ვახტამდე...

ეს თქვა და საგანგაშო ზარიც აწკრიალდა.

— ავრალი! — გაისმა ბრძანება.

თავისი პირველი ბრძოლიდან ჟენიას ბევრი არაფერი დამახსოვრებია. მის მეხსიერებას რაღაცნაირ უფორმო ნაფლეთებად შემორჩა არა მარტო საკუთარი, არა-

---

* კილვატერი — წყლის ჭავლი, რომელსაც ტუვებს მიმავალი გემი.

მედ ეკიპაჟის სხვა წევრების მოქმედებაც და მოგვიანებით მხოლოდ სხვათა ნაამბობით აღადგინა ბრძოლის საერთო სურათი.

ახლაც საბრძოლო განგაშის პირველ ბგერებთან ერთად, თვალის დახამხამებაში გემბანზე გაჩნდა და მერე ვერაფრით ვერ გაიხსენა, აფრინდა ზევით თუ ტრაპის საფეხურები აირბინა ელვის სისწრაფით.

— პერისკოპი! მარცხნივ ოცდაათი გრადუსი!.. დისტანცია ერთნახევარი კაბელტოვი! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა მესიგნალე საშა სემეიკინის ხმა.

ცხადი იყო, გერმანული წყალქვეშა ნავი ტრანსპორტის ტორპედირებას აპირებდა.

— გააფრთხილეთ ტრანსპორტი! ცოცხლად! მესიგნალე! — ფოლადის ნატეხებივით ისროდა ბრძანებებს კატარღის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი პავლე სივენკო. — სიგნალი: „სამხრეთ-დასავლეთის მხარეს წყალქვეშა ნავია!" წინაერდოს ქვემეხო, მარცხენა ქიმისაკენ ოცდაათი გრადუსით!.. დისტანცია — ერთნახევარი კაბელტოვი! მსხვრევადი ჭურვით... ცეცხლი!.. კიჩოზე: წყალქვეშა ნავის იერიში!.. ბომბები — მზად!

სივენკომ სამანქანაო ტელეგრაფის ბერკეტები „სრულ წინსვლაზე" დააყენა. კატარღა ღმუილით გავარდა წყალქვეშა ნავისთვის გზის გადასაჭრელად. ახლა წამები წყვეტდა ყველაფერს — ნავს ტორპედოს გასროლა რომ მოესწრო, ტრანსპორტს ვეღარაფერი უშველიდა.

ღრუბლები შეთხელდა, ცა თანდათან ამაღლდა, ჰორიზონტის ხაზმაც გადაიწია.

— პერისკოპი ჩაიმალა! — აღელვებულ სემეიკინს ხმა ჩაუწყდა.

— კომპასით მიჰყეთ! — მოისმა კაპიტნის ბოგურიდან. — კურსი — სამას ხუთი!.. მოემზადეთ!

ჟენია საშტურმო ლეერს ჩაეჭიდა, კომენდორები თავთავიანთ ქვემეხებთან გარინდულიყვნენ. გრიშა კუროპიატნიკოვს ცალი თვალი ციხკენ ეჭირა.

— ბომბი!

მენაღმემ მძლავრად მოქაჩა ბომბჩამყრელის ბერკეტი, ფოლადისფერი ცილინდრი მძიმედ გადასრიალდა ქიმს იქით.

— ბომბი!

პირველს მეორე მიჰყვა, მერე — მესამე, მეექვსე...

მოლოდინში ყველამ სუნთქვა შეიკრა. წამები უსაშველოდ გაიწელა, კატარღამ ოდნავ უკლო სვლას და მცირე რკალი შემოსაზა.

ბოლოს, როგორც იქნა, სადღაც, ზღვის სიღრმეში ყრუდ დაიგრგვინა და იქ, სადაც წეღან ბომბები ჩაიძირა, ზედაპირზე მძიმედ წამოიმართა აქაფებული წყლის ბორცვი, მერე მეორე, მესამე... ცოტაც და — ზედაპირზე ზეთის მოზრდილი ლაქა გაჩნდა, ხოლო კიდევ მცირე ხნის შემდეგ ნაფოტები, რაღაც ყუთები, ძონძები და რამდენიმე მატროსული ქუდი ამოტივტივდა...

— არის! — სივენკოს ხმაში აშკარად მოისმა სიხარული. — ამხანაგო წითელფლოტელებო! გამარჯვებას გილოცავთ!

— ვემსახურებით საბჭოთა კავშირს! — დაიჭექა ეკიპაჟმა.

„გმადლობთ!" — ლაკონიური სიგნალი გადმოსცა გადარჩენილმა ტრანსპორტმა.

ჟენია გაახარა ფაშისტური წყალქვეშა ნავის ჩაძირვამ, მაგრამ გული დასწყდა, რომ ყველაფერი უმისოდ მოხდა. თუმცა მაშინვე დაიმშვიდა თავი — ბრძოლაში ხომ, თუ მართალი გინდა, აქტიურად მხოლოდ რამდენიმე კაცი მონაწილეობდა: მეთაური, მესიგნალე, მესაჭე, მოტორისტი და მენაღმე... ყველა დანარჩენი უბრალო მოწმის როლით დაკმაყოფილდა, თუმცა თითოეული მათგანი მზად იყო, ყოველ წამს ჩაბმულიყო ბრძოლაში.

და დადგა ის წამიც...

— ჰაერი! — უცებ გაკვეთა სივრცე სემეიკინის შეძახილმა. — თორმეტი „იუნკერს-88", მარჯვენა ქიმი, ოთხმოცი გრადუსი! ჩვენკენ მოდიან!

სირენა აღმუვლდა. ზრიალით ჩაიკეტა სამანქანო ნაკვეთურთა ლიუკები. მემიზნეებმა სწრაფად დაატრიალეს შტურვალები და საზენიტო ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ლულა მოახლოებულ თვითმფრინავებს დაუმიზნეს.

ჟენია ჯიხურის კედელს აეკრა კუროპიატნიკოვის ტყვიამფრქვევის შორიახლოს და ცალი ხელი საშტურმო ლეერს ჩაავლო.

— ქვემეხებო! თვითმფრინავებს — ცეცხლი! — მეგაფონში ჩასძახა მეთაურმა.

ორჯერ წინაერდოზე დაიქუხა, სამჯერ — კიჩოზე. „იუნკერსები" ორად გაიშალნენ, ერთი ექვსეული ტრანსპორტისაკენ დაეშვა პიკეთი, მეორე — კატარღისაკენ.

— ცეცხლი! ტყვიამფრქვევო, ცეცხლი!

მგეზავმა ტყვიებმა და ჭურვებმა ჰაერი გასერეს. „იუნკერსები" კი ჯიუტად მოიწევდნენ წინ, თითქოს ტყვია არ ეკარებათო. სამმა რგოლმა ძრავების ღრიალით ზედიზედ გადაუქროლა სკა-065-ს. ოცამდე ბომბი ერთიმეორის მიყოლებით აფეთქდა კატარღის გარშემო — წინ, უკან, ქიმების გასწვრივ. აფეთქებათა ტალღამ სკა-065 ნაფოტივით აათამაშა, მტრის ტყვიამფრქვევმა გემბანზე წყვეტილი ხაზი გაავლო და ჰაერში აცვივდა ფენილის ნაფოტები. ალაგ-ალაგ გემბანს კვამლი აუვიდა — ეტყობა, გერმანელები ცეცხლგამჩენ ტყვიებსაც ისროდნენ.

— კიდევ თვრამეტი „იუნკერს-88", მარჯვენა ქიმი, სამოცდაათი გრადუსი!..

ახალი ესკადრილიის წინ ორი თვითმფრინავი მოდიოდა განცალკევებით, საგრძნობლად გამოუსწრეს ჯგუფს.

— მეწინავე თვითმფრინავს — ცეცხლი!

ეფიმ გლადკის ქვემეხმა სამჯერ „ჩაახველა". ორმა ჭურვმა ცხვირწინ ჩაუქროლა „იუნკერსს", მესამე კი მოხვდა ბომბს (უიშვიათესი შემთხვევაა!), რომელიც სწორედ იმ წამს მოსწყდა თვითმფრინავის მუცელს. მეწინავე ბომბდამშენის ადგილას უცებ უზარმაზარი შავი კვამლის სფერო და სფეროს შიგნით — მოგიზგიზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლოვანი ბირთვი გაჩნდა. მეორე თვითმფრინავიც, როგორც ჩანს, დააზიანა აფეთქების ტალღამ, ერთხანს გვერდულად მოფრინავდა, მერე ცხვირით მკვეთრად დაექანა ძირს და მეწინავე ბომბდამშენის ნამსხვრევებთან ერთად წყალში გაუჩინარდა.

— ყოჩაღ! — გაისმა მეგაფონში.

ერთი ფაშისტი ტრანსპორტის საზენიტო ქვემეხმაც ჩამოაგდო, მაგრამ ჰაერში კიდევ რჩებოდა მტრის ოცდაშვიდი მანქანა. ამათგან თექვსმეტი უკვე უტევდა ბადრაგს, დანარჩენი კი სიმაღლეს იღებდა და ახალი იერიშისათვის ემზადებოდა.

— ჟენია! აბა შენ იცი, ვაზნები! — გრიშამ წამით მოუხედა ფანტასტიკური სანახაობით გაოგნებულ ბიჭს.

— აქა ვარ!..

პავლე ზინჩენკო და ვანია შენგური გემბანზე კოტრიალობდნენ და სხეულით აქრობდნენ ცეცხლგამჩენი ტყვიების მოხვედრის ადგილებში მოქანავე ალის ენას. მეთაურს ხელები სამანქანო ტელეგრაფის ბერკეტებზე ედო და იმის მიხედვით, თუ სად იყო მოსალოდნელი ბომბების დაცემა, არეგულირებდა კატარღის სვლის გეზსა და სიჩქარეს. კომენდორები და მეტყვიამფრქვევეები თავ-თავიანთ იარაღს მიკვროდნენ და დაძაბულ მოლოდინში გაქვავებულიყვნენ.

— ყურადღება! წინაერდოს ქვემეხო, მეწინავე რგოლს — ცეცხლი! კიჩოს ქვემეხო, მეორე რგოლს — ცეცხლი! ტყვიამფრქვევებო, მოემზადეთ!

ისევ აბათქუნდნენ საზენიტო ქვემეხები. პირველი რგოლის მიმყოლ „იუნკერსს“ კუდი მოსძვრა, ტარაბუასავით დაბზრიალდა და ძირს დაქანებული ზედ წყლის ზედაპირთან აფეთქდა. გრიშას ტყვიამფრქვევთან ჩაჩოქილ ჟენიას ყურთან ზუზუნ-შრიალით ჩაუქროლა რაღაცამ. ბიჭი მიხვდა, რომ ეს იმ აფეთქებული თვითმფრინავის ნამსხვრევი იყო.

„ალბათ სანტიმეტრში ამცდა!“ — გაუელვა ჟენიას.

დარჩენილი ჩვიდმეტი „იუნკერსი“ ღმუილითა და წივილით დაექანა კატარღისაკენ. ისევ ადუღდა და აქაფდა ზღვა. ისევ ნაფოტივით აქანავდა პატარა ხომალდი, ისევ ტკაცატკუცით გახაზა გემბანი მტრის ტყვიამფრქვევების ჯერმა. სულ პირველი რადისტი კოშკინი დაიღუპა — ანტენის გასასწორებლად ჯიხურის თავზე აცოცებულს მიუსწრო ტყვიამ და გემბანამდე სული არ დაჰყოლია. ეფიმ გლადკის მუცელში მოხვდა ნამსხვრევი და მისი ადგილი აკუსტიკოსმა პავლე ზინჩენკომ დაიჭირა, მაგრამ იმანაც მხოლოდ ოთხიოდე გასროლა მოასწრო, წაიქცა და პოჭოჭიკებიდან მოგლეჯილი ქვემეხი ზედ დაეცა. ფედია ფომინი, კიჩოს მეტყვიამფრქვევე, ბარძაყში დაიჭრა, მაგრამ იარაღისთვის ხელი არ გაუშვია. სამანქანო განყოფილებაში მწყობრიდან გამოვიდა შუათანა ძრავა, ხოლო კუბრიკში ხანძარი გაჩნდა.

გაფითრებულ გრიშა კუროპიატნიკოვს ბრაზისაგან მოკვნეტილ ბაგეზე სისხლი მოსწვეთავდა. რა ხდება. თითქოს მოუჯადოებიათო. ერთი ტყვიაც კი ვერ გააკარა მტერს! ზემდეგი თავის თავს არ ჰგავდა — სხვა დროს ბრძოლის ქარ-ცეცხლშიაც ხუმრობდა ხოლმე, ან ჟენიას გადაულაპარაკებდა რამეს, ან სხვებს შეესიტყვებოდა, ან მტერს აგზავნიდა ჯანდაბასა და დოზანაში, ახლა კი...

ტრანსპორტის მეზენიტეებმა კიდევ ერთი „იუნკერსი“ გაუყენეს საიქიოს გზას.

დასასრული შემდეგ ნომერში

ხომ გახსოვთ რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“?... არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედაო... არადა, გააცვლევინეს ხევსურთ მთა ბარზე, დაათმობინეს „კლდე თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერიც გადმოქუხს ბროლი-წყლიანი“...

მხოლოდ ერთხელ გაზომილსა და მაშინვე მოჭრილს სავალალო შედეგი მოჰყვა. 50-იან წლებში ხევსურთა დაუფიქრებელმა, უსისტემო განთესვა-განსახლებამ მრავალი სოფლის დაცლა-გაუკაცურება მოიტანა. დაცარიელდა ნისლებმობურული სოფლები, გამოქარდა სითბო სიპით ნაგები სახლებიდან, ლამის მთლად ხევსურეთის ლიბო დაირღვა...

თითქოს შეეჩვივნენ ხევსურები ბარს, თითქოს ისინიც კი შეურიგდნენ მომხდარს, ვინც ჩამოსახლებისას სხვებზე მეტად დრტვინავდა, მაგრამ სული ვერ სძლებდა, ღონდებოდა, უკანვე ეწეოდა ხევსურთ... უგზოობის, ცხოვრების გაუსაძლისი პირობების, ლამის ნახევარწლიანი ზამთრის გახსენება კი კვლავ ბარში აბამდა მათ. ხოლო როცა რესპუბლიკაში მთელი სიმწვავით დაისვა მაღალმთიანი რაიონების საკითხი, როცა მათზე ზრუნვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა, როცა აღსდგა ბევრი ნასოფლარი, როცა სასიკეთო გარდაქმნები მთათუშეთსაც მისწვდა, ხევსურებმა ირწმუნეს მშობლიური კუთხის აღორძინების, მთას მიბრუნების შესაძლებლობა და — არც ტყუილად.

„დიდი, ნათელი და მზიანი დღე გათენდა ხევსურეთში. ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. სიცოცხლე მკვიდრდება ხევსურეთის მიწაზე. ძალიან დიდხანს ელოდა ჩვენი ხალხი, დიდხანს ველოდებოდით ჩვენ, ყველა ჩვენთაგანი ამ დღეს და ამ სიხარულს. ძნელი, შეუძლებელი იყო, შევგუებოდით იმ აზრს, რომ ხევსურეთი დაცარიელდა. ხევსურეთში ხევსურები აღარ იქნებიან, რადგან ხევსურეთი ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მისი მიწა-წყლის მშვენება, მისი სინდის-ნამუსის ქუდი და ძარღვი“. ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის ეს სიტყვები, რომლებიც მან 1982 წლის ოქტომბერში წარმოთქვა შატილში სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებულ ზეიმზე, იმედად გახმიანდა მთელ საქართველოში. ვინ იცის, რამდენი ბარში ჩამოსასახლებლად გამზადებული ხევსური შეაჩერა და შეარჩინა თავის დაბეჩავებულ სოფელს ამ სიტყვებმა, რამდენ ჭიუხებზე გარჩენილ თითოკაციან სოფელს მისწვდა იმედად, რამდენი ბარში დამკვიდრებული ხევსური გაუყენა მთებზე ამოზრდილი სოფლისკენ მიმავალ ჭინჭარმოდებულ ბილიკს!

მანანა გელაშვილი

განახლებისა და აღორძინების ჟამი დაუდგა ხევსურეთს.

მხოლოდ ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, ხევსურეთის გარშემო მიღებული გადაწყვეტილება-დადგენილების შესასრულებლად კი უკვე გადაიდგა პირველი კონკრეტული, საქმიანი ნაბიჯები. პირველ რიგში ეს ციხე-სოფელ შატილს დაეტყო.

გზაზე არ წყდებოდა ყოჩაღი „ნივებისა“ და „უაზების“ მიმოსვლა, შიგადაშიგ კოხტა ავტობუსიც გამოჩნდებოდა და შატილიონებს მოკეთეებსა და სტუმრებს ამოუყვანდა. ზედ არღუნის პირზე ნარინჯისფერი ბულდოზერი ბუღრაობდა. იმის მიერ ამღვრეული წყლის დაწმენდის მომლოდინე შარვალაკაპიწებულ ბიჭს ანკესი გვერდით მოედო და ადრევე დაჭერილ ვერცხლისფერ კალმახებს დასცქეროდა. იქვე მაღაზიაში საყიდლებზე გამოგზავნილი გოგონა ჩამომჯდარიყო და მაღლა მთაზე ნისლისფერ ცხენს მისჩერებოდა. სასადილოში ტურისტები ცხელ-ცხელ ხინკალს ეწეოდნენ. შატილის მკაცრი მშვენებით მოხიბლული მნახველები სურათების გადაღებას ეშურებოდნენ. დროდადრო ფერდობზე აჭრილ გზას საშენი მასალით დატვირთული მანქანა აუყვებოდა ღმუილით, დაიცლებოდა და უკანვე რახრახით ჩამოდიოდა. სწორედ აქ ჩაეყარა გასული წლის 9 ოქტომბერს საძირკველი ახალ დასახლებას, ახალ შატილს. ბებერი, ჟანგისფერი შატილიდან რამდენიმე ასეული მეტრით მოშორებულ ამ ფერდობზე ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით შექმნილი პროექტით შატილიონებისთვის შენდება თერთმეტი ორსართულიანი იარუსიანი სახლი, რომლებიც გაიმეორებენ სოფელ შატილის მთავარ არქიტექტურულ პრინციპს და ამავე დროს ყოველმხრივ კეთილმოწყობილიც იქნებიან. ნიშანდობლივია, რომ შატილის ახალი კომპლექსის პირველი სახლის მშენებლობას მშობლიურ სოფელში მობრუნებული მშენებელი ინჟინერი ირაკლი ჭინჭარაული ხელმძღვანელობს. ვინ იცის, მასავით გამოადგნენ მომავალში მშობლიურ მხარეს გენადი შეთეკაური, მინდია და ელდარ ჭინჭარაულები და სხვა პატარა შატილიონები. დღეს რომ დაკვირვებით ადევნებენ თვალს მშენებლებს და მახვილი თვალით ზომავენ ყოველი დღის ნამუშევარს. მალე აღორძინების გზაზე შემდგარ სოფელს სკოლა-ინტერნატიც ექნება, კავშირგაბმულობის განყოფილებაც, კლუბიც, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატიც, სამედიცინო პუნქტიც. მოკლე დროში შატილის სახით რესპუბლიკას თანამედროვეობის ყველა სიკეთით აღჭურვილი კიდევ ერთი ღონიერი სოფელი შეემატება.

კვალში ჩაუდგებიან შატილს სხვა ხევსურული სოფლებიც. ოღონდ ჯერ მათთან მისასვლელი საავტომობილო გზები უნდა გაიჭრას. აკი სწორედ უგზოობა გახლდათ ხევსურეთის დაცლის ერთ-ერთი მიზეზი და ამიტომაც მოექცა გზების მშე-

ნებლობა განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების არეში.

ბევრ სიკეთეს მოუტანს გზა ხევსურთ სოფლებს, რაც მთავარია, იგი ხევსურებს დააბრუნებს მამა-პაპეულ სამოსახლოზე, და მაშინ ბარისახოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებიდან ამობრუნებული ახალგაზრდა სპეციალისტის, ნაზი არაბულის მსგავსად მრავალი ქალიშვილი და ჭაბუკი მოვა და ბურჯად შეუდგება ხევსურეთში მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების საქმეს; თბილისის მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის დუშელი კურსდამთავრებულები თავს დაადგამენ ხევსურეთში ხალხური რეწვის აღორძინებას; სამ წელიწადში დაასრულებენ თბილისის მე-18 პროფტექნიკურ სასწავლებელს ბარისახოდან და დუშეთის რაიონის სხვა სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდები და რესტავრატორებად და მშენებლებად მოევლინებიან მშობლიურ კუთხეს. ბევრი მუშა, მეურნე და სპეციალისტი დასჭირდება ხევსურეთს სამშენებლოდ, რამეთუ კიდევ ბევრი რამ არის დასახული და დაგეგმილი მისი ყოველმხრივი განახლება-გამოცოცხლებისათვის. და ვინ იცის, მეცხვარეობას, მასწავლებლობას თუ ექიმობას აირჩევენ არჭილოელი მეხუთეკლასელი ზვიად ზვიადაური და მეოთხეკლასელი მამუკა ზვიადაური, დღეს რომ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში სწავლობენ, ანდა მათი ადრევე დადინჯებული უმცროსი ძმა, ჯარჯი; იქნებ, არდოტელმა ცისანა ზვიადაურმა და მისმა ხუთმა დამ ისეთი წინდა-პაჭიჭებისა და ხალიჩების ქსოვა ისწავლონ ხელმარჯვე დედისაგან, რომ იმათმა ნახელავმა ქვეყანა გააოცოს...

იმრავლებენ, გაიზრდებიან, გაძლიერდებიან, სამშობლოს გამოადგებიან ჭინჭარაულები და შეთეკაურები, ზვიადაურები და მინდიკაურები, ლიქოკელები და ქეთელაურები, გოგოჭურები და ალუდაურები... ამის იმედი აქვს ხალხსა და ქვეყანას.

მანანა ყორანაშვილის ფოტო

ცად აზიდულა ზვიადი მუცო.

დიდებული სანახავია ხევსურული ციხე-კოშკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები

ვლადიმერ ასლამაზიშვილი
მხატვარი გივი პეტრიაშვილი

პურჯე

ქიზიყელი ბიჭი

მეფე ერეკლე საომრად ჯარს აგროვებდა. ერთ დღესაც თელავში, მეფის სასახლესთან დამტვერილი, სიცხით ლოყებაღაჟღაჟებული პატარა ბიჭი მისულა და მეცხოვნეებისათვის უთხოვნია, — მეფის ჯარში ჩამრიცხეთო.

— რა დროს შენი ჯარია, ჯერ პირზე დედის რძე არ შეგშრობიაო, — უარი უთქვამთ მეცხოვნეებს.

— ვინა, მე?! —ჯავრით თვალებიდან სულ ნაპერწკლები დაუკვესებია იმ ბიჭს, — მეფე ერეკლეს პატარა კახს იმიტომ ეძახიან, პატარაობაშივე ხმალს იქნევდა და მტერს მუსრავდა, მე რა იმაზე ნაკლები ვარო.

ბიჭის ნათქვამი მეფისთვის უამბნიათ.

— მაჩვენეთ, რა კაციაო! — უბრძანებია ერეკლეს.

მიუყვანიათ.

— დღეგრძელობა და გამარჯვება მეფე ბატონს! — უთქვამს ბიჭს და ნაბდის ქუდი მოუშვლეპია.

მეფეს ღიმილით აუთვალიერ-ჩაუთვალიერებია და უთქვამს:

— ვინა ხარ, შვილო, საიდან მოსულხარ?

— ქიზიყიდან გეახელი, მეფევ ბატონო, გავიგე, ჯარს აგროვებ და მეც წამოვედი, უარი არ მითხრა, თორემა ცოცხალი თავით უკან არ დავბრუნდები.

— მერე, შენი მშობლები თანახმანი იქნებიან? — უკითხია მეფეს.

— მშობლები სადა მყვანან, ერთი ობოლი, ტლუ ბიჭი ვარ!

— ცხენი თუ გყავს?

— არა, მეფევ, ჩემი თავის მეტი არაფერი მაბადია!

— აბა, უცხენოდ ქიზიყიდან აქამდე როგორ მოხვედი? — გაჰკვირვებია მეფეს.

— როგორა და პურითა, — ბიჭს ზურგიდან გუდა მოუხსნია, იქიდან შოთი პურის ყუა ამოუღია და უთქვამს, ოღონდ ეს იყოს, მეფევ ბატონო, ამის მადლს ვენაცვალე. პურს და მშვიდობას ნუ მოაკლებ შენს სამწყემსოს და გინდა დარუბანდამდე ვივლი უცხენოდ!

ერეკლეს მოსწონებია ქიზიყელი ბიჭის პასუხი, ცხენიც უჩუქებია, კარგი ქამარ-ხანჯალიც და ჯარშიც ჩაურიცხავს.

ერთი ასად

მოხუცმა კაცმა და ბიჭმა ხნულის პირას გზაზე დაფანტული ხორბალი იპოვნეს.

— ხედავ, რა უქნიათ იმ უხეიროებს? — გაჯავრებით ჩაილაპარაკა მოხუცმა და მარცვალს კრეფა დაუწყო.

— ვისა? — იკითხა ბიჭმა.

— ვისა და მთესველებს. რამდენი დაჰბნევიათ, ნეტავი საით გაურბოდათ თვალები?!

მოხუცს ხორბლის აკრეფაში ბიჭიც მიეხმარა, ერთი მარცვალიც არ დატოვეს გზაზე.

კაცმა ხორბლით მუჭა გაივსო. ადგა, ხელი მოიქნია და ხნულში გადაყარა.

— ერთი ასად, ერთი ასად! — მიაძახა.

— ეგ რაღა უთხარი? — დაინტერესდა ბიჭი.

— ერთი ასად იქეცი-მეთქი. ერთი მუჭა ხორბალი ას მუჭად რომ იქცევა, იმით გამომცხვარი პური მე და შენ რამდენიმე დღეს გამოგვკვებავს.

ახლა ბიჭმა გადაყარა ხორბალი ხნულში და მოხუცის ნათქვამი გაიმეორა:

— ერთი ასად, ერთი ასად!

— ეგრე, შვილო, ეგრე. ბარაქას ბარაქა მიემატება, — კმაყოფილებით თქვა მოხუცმა კაცმა.

პურმა იბარტყა

ხორბალს ჩემი პაპა პურსაც ეძახის. ეს იმიტომ, რომ ხორბლიდან პურს ვაცხობთო.

ერთ დღეს ჩვენი ბაღჩის ღობის ძირას ხორბლის მწიფე თავთავები შევნიშნე. გავიქეცი და პაპას ვუთხარი — ბაღჩაში პური დამწიფებულა-მეთქი.

— აბა, ერთი ვნახოთო, — პაპა ბაღჩაში წამომყვა. დახედა, თავთავებს ხელის თითებით მოეფერა, სიმძიმე გაუსინჯა.

— ხედავ? საიდანღაც მარცვალი გადმოვარდნილა, ვინ იცის, ჩიტს ჩამოუვარდა და ამანაც გაიხარა, — მითხრა პაპამ.

მე თავთავები დავთვალე. ხუთი იყო, თითო მტკაველის სიგრძე, ხუთივეს ღეროს ერთი ძირიდან ამოეზეთქა. მე გამიკვირდა და პაპას შევხედე.

— ერთი მარცვლიდან ხუთი თავთავი ამოვიდა?

— უბარტყია, შვილო, პური დალოცვილი მცენარეა. თესვის დროს ერთი ასად, ერთი ასადო რომ დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახით, ალბათ იმიტომ ბარტყობს და მრავლდება. — მიპასუხა პაპამ.

მამიდას შოთები

მამიდა ერთ კვირას აპირებდა ჩვენთან დარჩენას. მაგრამ მეორე დღესვე წავიდა თავის სოფელში. ისე წავიდა, არც დედას გამომშვიდობებია, არც მამას.

— მე აქეთ პირისმქნელი აღარა ვარ! — თქვა გაჯავრებულმა და კარი გაიჯახუნა.

დედა სამსახურიდან რომ მოვიდა და მამიდაჩემის წასვლა გაიგო, ძალიან ეწყინა.

— რა მოხდა? — მკითხა მე.

— მეზობელს წაეჩხუბა!

— რომელს?

— შუშანას!

— რა ჰქონდათ გასაყოფი, რაზე დაემდურა? —

— პურზე!

— ისევ პურზე? ღმერთო ჩემო, ამას წინათაც ასე მოიქცა.

— მაშინ ლამარა დეიდას წაეჩხუბა, — შევახსენე დედას.

— ხო, ლამარას. ის ქალი დღესაც წესიერად არ მელაპარაკება.

— ნაგავი მამიდას რომ არ ჩაეტანა ეზოში...

— ბიჭო, მერე შენ ვერ გამოართვი?

— არ დამანება, მე თვითონო!

— მაგრად იჩხუბეს?

— კი, მთელი პური უნახა შუშანას ნაგვის ვედროში. ერთი ამბავი ატეხა, ეს რა არის, წესიერი ადამიანი ლუკმას გადასაგდებად არ გაიმეტებსო, შე ღმერთგამწყრალო, ამოდენა პურს ნაგავს როგორ ატანო.

— რა მეშველება, თავი აღარ გამომეყოფა ეზოში. შუშანას ვეღარ დავენახვები.

— რამდენიც საჭმელად გეყოფა, იმდენი იყიდე, თავში ვინა გცემდა, ბევრს რომ ყიდულობდიო!

— მართალი კი უთქვამს. სხვებმა რაო, რა თქვეს?

— ხმა არავის ამოუღია.

— კიდევ კარგი. შუშანას? ის რაღას ამბობდა?

— ჯერ ჩუმად იდგა, ყაყაჩოსავით გაწითლებული, მერე, მამიდა რომ აღარ მოეშვა, გაწიწმატდა. შენ ვინ გკითხავს, ვიღაცა ხარო.

— მამიდამ რაღაო?

— ვინ მკითხავს და ჩემი სინდისნამუსი, ამ პურის სიყვარული; შე გაუგებარო, პური გვიზრდის შვილებს. ჩვენც გვსაზრდოებს და ეგ არ გესმის? ვინც პური გადასაგდებად გაიმეტოს, გაუწყრეს პურის მადლი, სხვა არაფერი ჭამოს ამ ქვეყანაზეო.

— ასე თქვა?

— მაშ! — ტაქსის შოფრის ცოლი და კიდევ მკერავი რომ არის მამიდას მიემხრნენ, ჭკვიანი ადამიანი პურს არ გადააგდებსო, მერე რა, რომ დაძველდა, ძველი ჩაიში და სადილში კარგი საჭმელიაო.

— მაშ პირს აღარ ვიზამ აქეთო?

— არა, მე აქეთ პირისმქნელი აღარა ვარო.

თვე გავიდა იმ ამბის შემდეგ და მამიდას ჩვენი სახლის კარი აღარ შეუხსნია. ერთი თვის შემდეგ კი გვესტუმრა სოფლიდან. დიდრონი, დაბრაწული შოთი პურები ჩამოგვიტანა, ჩემთვის კვერი გამოეცხო.

ორი პური იღლიაში ამომიდო და მითხრა:

— გენაცვალოს მამიდა, ნუ დაიზარებ. ეს პურები შუშანას წაუღე.

— შუშანას? — გაოცებით წამოიძახა დედაჩემმა.

— ხო, ქა, რა გაგიკვირდა... უთხარი, მამიდაჩემმა გამოგიგზავნათქო.

— აკი ემდუროდი, რა მოხდა? — ვერ გაეგო დედაჩემს.

— ამ სამი დღის წინ, სოფელში შუშანას წერილი მივიღე. დიდ ბოდიშებს მიხდიდა, მაშინ ვტყუოდი და უნდა მაპატიოო; ლუკმა რა არის, ახლა იმის გადამგდებიც არა ვარ, ვახმობ და ჩაიში გეახლებიო. რაღას დავემდურები აბა, ჩვენც ხალხნი ვართ, — ასე უთხრა მამიდაჩემმა დედას.

ორიოდე წუთში ზედა სართულისკენ მივხტოდი, რომ შუშანასთვის მამიდაჩემის გამოცხობილი შოთები მიმეტანა.

„თვითონ გეტყვის“

— შვილო, ერთი ჩაირბინე, ჩვენს ჯეჯილს დახედე, თუ გასამარგლია, გავმარგლოთ, — უთხრა პაპამ შვილიშვილს.

ბიჭმა არ იცოდა, რა იყო მარგვლა და მოხუცს ჰკითხა:

— როგორ უნდა გავიგო, ჯეჯილი გასამარგლია თუ არა?

— თვითონ გეტყვის! — იყო პასუხი.

ბიჭი წავიდა, დადგა ყანის პირას და უყურებს: ცელქი ნიავი ზღვასავით აღელვებს ჯეჯილს, იმის სიმწვანეში ყაყაჩოს მოუღერებია ყელი, აქა-იქ ყვითლად ნანაობენ ბოლოკა და ბაია.

დგას ბიჭი და ელოდება, როდის ეტყვის ჯეჯილი, გამარგვლა მინდაო. ის კი ნიავის ყველა წამოქროლვაზე ბიბინებს, შრიალებს და არაფერს ამბობს.

ბიჭი ლოდინით დაიღალა. დაბრუნდა შინ და პაპას უთხრა:

— აკი ჯეჯილი თვითონ გეტყვის, გამარგვლა უნდა თუ არაო, ხმაც არ ამოუღია, მარტო ნიავი უბერავდა და შრიალებდა, ერთი სიტყვაც არ გამიგონია.

— ჯეჯილში სხვა არაფერი შენიშნე? — ჰკითხა მოხუცმა ბიჭს.

— როგორ არა, ყაყაჩო, ბოლოკა და ბაია ჰყვაოდნენ!

— შე დალოცვილო, მეტი რაღა გინდა?! — უთქვამს და ეგ არის! ჯეჯილს სარეველა მოსდებია და გასამარგლი ყოფილა, — მიუგო ბერიკაცმა.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

გიორგი ლომიძე, 9 წლის.

ამხანაგით უნდა იამაყო

თეას საქციელი ნამდვილად დასაძრახია. იქნება მას არ უნდა, მის გარდა სხვაც იყოს კლასში ფრიადოსანი?

ჩემი აზრით, კარგი ამხანაგი უნდა ცდილობდეს, რომ მისი მეგობრებიც მოწინავენი იყვნენ სწავლასა და ყოფაქცევაში.

ჩემს კლასში ბევრი წარჩინებული მოსწავლეა. ისინი დაუზარებლად ეხმარებიან ჩამორჩენილებს, უზიარებენ ცოდნას. მე ვამაყობ ჩემი ამხანაგებით, მათი სიყვარული და პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

თეამ უნდა გამოასწოროს დანაშაული, რათა მეგობრების პატივისცემა დაიბრუნოს.

ნანა ჩადუნელი
გორის მე-4 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ზემოდგომის ეტიუდი

სიცივეა, ქარი ქრის...

მე კი არხეინად მივდივარ ქუჩაში და არაფრის დარდი არა მაქვს, რადგან თბილი ქურთუკი მაცვია... ფოთლები ნაღვლიანად ცვივიან მიწაზე. ზოგი მათგანი წითელია, ზოგი — ყვითელი, ზოგიც — ნარინჯისფერი. შორდებიან თავიანთ მშობელს — ხეს.

ჩემს წინ მიმავალმა ქალმა, რომელსაც ცალ ხელში რვეულების შეკვრა ეჭირა, ფოთოლი ჰაერშივე დაიჭირა, ნაზად მიუალერსა და გზა განაგრძო.

ფოთოლი ახლა ჩვენს კლასში დაფაზე ჰკიდია და მე მასზე ეტიუდს ვწერ.

ლევან მახარაშვილი,
ბათუმი, VII კლასი.

ბალახი ვარ

მე ბალახი ვარ. იასაც კი ვასწრებ ამოსვლას. მზეს პირველი მე ვეხუტები. ვახარებ ადამიანის თვალსა და გულს. „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები...“ — ეს ხომ ჩემზეა ნათქვამი. ყოველ ცისმარე დღეს აბიბინებული ვეგებებოდი გალაკტიონს და ჩუმად ვთხოვდი, ჩემი სი-

ეროვნული უცხოური თანაცხოვრება

გავშვთა ორგანიზაცია „ედონი“ (კიპროსი)

გადაწყვეტილება კიპროსზე ბავშვთა ორგანიზაციის შექმნის თაობაზე მიღებული იქნა ედონის ყრილობაზე 1960 წელს. ედონი აქაური პროგრესული ახალგაზრდობის კავშირია, რომელიც მუშაობაში მარქსიზმ-ლენინზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობს.

რაკი კიპროსის სკოლებში ბავშვთა პოლიტიკური ორგანიზაციები ოფიციალურად აკრძალულია, პირველი პიონერული ჯგუფები ედონის კლუბების ბაზაზე ყალიბდებოდა. ამჟამად ამ ჯგუფებში 7-დან — 18 წლის ასაკის რამდენიმე ათასი ბავშვი და მოზარდი, პირველ რიგში მუშათა, გლეხთა და პროლეტარული ინტელიგენციის შვილები არიან გაერთიანებულნი.

პიონერები აქტიურად მონაწილეობენ მოძრაობაში კიპროსის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგებისათვის, კუნძულიდან ყველა უცხოური ჯარის ნაწილების გაყვანისათვის, ნატოს ბაზების გაუქმების, ლტოლვილთა პრობლემის გადაწყვეტის, სრული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მიღწევისათვის.

ორგანიზაციის მოღვაწეობაში სერიოზული ადგილი უჭირავს ხალხის კულტურული ტრადიციების განვითარებას, ბავშვების ჩაბმას მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში.

ბავშვთა ორგანიზაცია — ედონი მრავალმხრივ თანამშრომლობს ბევრი ქვეყნის პიონერულ ორგანიზაციებთან. წარმატებით ვითარდება მისი ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის პიონერიასთანაც.

კიპროსელ პიონერებს აქვთ თავიანთი ფორმა: თეთრი ბლუზები, მწვანე შარვლები (ქვედატანები) და მწვანე ყელსახვევი ემბლემით, რომელზეც გამოსახულია კუნძულ კიპროსის კონტურები.

ხოსე ანტონიო გალასის სახელობის პიონერული ორგანიზაცია (კოლუმბია)

1952 წელს კოლუმბიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის (კკა) შექმნით სათავე დაედო ბავშვებსა და მოზარდებს შორის მუშაობის გაფართოებას. ეს მუშაობა, რომელიც ქვეყნის კომუნისტური პარტიისა და კკა-ს ხელმძღვანელობით წარმოებდა, 1974 წელს დაგვირგვინდა სრულიადეროვნული პიონერული ორგანიზაციის შექმნით. 1975 წელს კოლუმბიის პიონერულ ორგანიზაციას ხოსე ანტონიო გალასის სახელი მიენიჭა... გალასი იყო ნორჩი ეროვნული გმირი, გასული საუკუნის დასაწყისში ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. კოლუმბიელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე.

ორგანიზაციის მუშაობის მიზანია მშრომელთა შვილების აღზრდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა, ბავშვების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება და სოციალური უზრუნველყოფა. კკა თავის წევრებს ზრდიდ მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობის, სოლიდარობის პრინციპებით.

მის წევრებად ითვლებიან 7-დან — 14 წლამდე ასაკის ის ბავშვები და მოზარდები, რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის მიზნებს და ცნობენ მის კანონებს.

ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონის რამდენიმე ათას ბავშვს. კოლუმბიელი პიონერები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პროგრესული, საზოგადოებრივი ძალების მიერ გატარებულ აქციებში, აგრეთვე სემინარებსა და მიტინგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარული და გრძნობები აეწერა. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გაიარე, რაა მამული...“

ახლა ზამთარია, მაგრამ მე მაინც ვცოცხლობ. გაზაფხულზე უფრო მოვლონიერდები, ავბიბინდები, ხასხასა მწვანით შევღებავ მინდვრებსა და მთებს, აჭიკჭიკდებიან მერცხლები, ველზე ცხვარი გამოეფინება, ჩემს მკერდზე ფეხშიშველი გოგობიჭები გადაირბენენ. მერე ზაფხული დადგება, დააცხუნებს მზე. მეც უფრო გავიზრდები, წელში გავიმართები, მოვლენ მთიბავები და მინდორს ლამაზი ბულულები დაამშვენებს.

და ასე წლიდან წლამდე ვემსახურები მშობლიურ მიწას.

ქეთინო კაკაბაძე,
თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, VI კლასი.

ნუკრი ჩლაიძე, 162-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 2

თოვლის ბაბუა

ახალი წლის ღამეა
ხვავრიელად თოვს,
ველოდებით ბაბუას,
სადღაც ცხოვრობს შორს.

როცა დარეკს თორმეტი,
შემოაღებს კარს,
დაგვირიგებს პატარებს
ნანატრ საჩუქარს.

ირმა მოდებაძე,
თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაცია

ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1949 წლის 24 აპრილს. ეს ბავშვთა ერთიანი პოლიტიკური მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ნებაყოფლობის, კოლექტიურობისა და დემოკრატიიული ცენტრალიზმის პრინციპებით. მისი მიზანია აღზარდოს ქვეყნის ნორჩი მოქალაქეები — სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლები პატრიოტიზმის, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პიონერული ორგანიზაციის რიგებში გაერთიანებულია 6-დან 15 წლის ასაკამდე 1 მილიონ 400 ათასამდე ბავშვი და მოზარდი. ესენი არიან „ნაპერწკლები“ (6-9 წლის), უმცროსი (9-12 წლის) და უფროსი (12-15 წლის) პიონერები.

პიონერული ჯგუფები და რაზმები მუშაობენ სკოლებში, ზოგიერთ სამხედრო ნაწილთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. მათზე შეფობენ ქარხნები, დაწესებულებები და პირველ რიგში ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი.

პიონერები ატარებენ შრომით აქციებს, აწყობენ ლაშქრობებს რევოლუციური და საბრძოლო დიდების ადგილებში, ატარებენ სპორტულ ღონისძიებებს, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, ჩაბმული არიან მხატვრულ და ტექნიკურ შემოქმედებაში. დიდი ყურადღება ეთმობა მსოფლიოს ბავშვთა და პიონერულ ორგანიზაციებთან მეობრობის განვითარებას, ტარდება სოლიდარობის აქციები, კონკურსები და სხვა.

ჩეხოსლოვაკიელ პიონერებს აქვთ ფორმა: ცისფერი ბლუზა, მუქი ლურჯი შარვალი (ქვედატანი), წითელი ყელსახვევი. მათი დევიზია: „სოციალისტური სამშობლოს მშენებლობისა და დაცვისათვის იყავ მზად! — მზად ვარ!“.

რუმინეთის პიონერული ორგანიზაცია

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაცია შეიქმნა 1949 წლის 30 აპრილს. იგი მუშაობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მიზნად ისახავს მოზარდი თაობის აღზრდას პატრიოტიზმის, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ღირსეული მოქალაქეების — სოციალიზმისა და კომუნიზმის აქტიური მშენებლების მომზადებას.

პიონერული ორგანიზაცია აერთიანებს ორი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს და მოზარდებს. უმცროსებს (9-11 წლისა) და უფროსებს (11-14 წლისა). სტრუქტურულად იგი იყოფა რაზმებად, რაზმეულებად, საქალაქო, რაიონულ და საოლქო ორგანიზაციებად. ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს პიონერული ორგანიზაციის ეროვნული საბჭო.

პიონერული ორგანიზაცია მრავალმხრივ მუშაობას ეწევა მოზარდთა შრომითი, ესთეტიკური, სპორტული აღზრდისათვის. პიონერთა ტრადიციულ დღესასწაულებად იქცა პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე, სპორტული შეჯიბრებები, ხალხური სიმღერების ფესტივალები.

ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია პიონერთა ინტერნაციონალური აღზრდა — მას მჭიდრო კავშირი აქვს თითქმის 100 სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა ორგანიზაციებთან. რუმინელ პიონერთა ბეჭდვითი ორგანოებია ჟურნალი „კუტეზეტორიი“ („მამაცნი“) და გაზეთი „სკინტეია პიონერულუი“ („პიონერის ნაპერწკალი“).

პიონერული აქტივის კლუბის
მუშაობას ხელმძღვანელობს პიონერთა
რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

ამაყად ფლობს საბჭოთა ჭეშმარიტ ვინ მოჰალეჰ

ჩვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე სიტყვას ვაძლევთ სამხრეთის საზღვრისპირა ერთი სოფლის სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს **ციალა ქამადაძეს.** იგი თავის აქტიურ პიონერებს, მესაზღვრის ნორჩ მეგობართა რაზმის წევრებს გაგვაცნობს.

სამხრეთის საზღვარზე მრავალი ეროვნების ჭაბუკი იხდის სავალდებულო სამხედრო სამსახურს. ჯარისკაცური მოვალეობის მოხდის პერიოდში ისინი დიდ დროს სოფლის ბავშვებთან ურთიერთობას, მათთან მეგობრობას უთმობენ. მესაზღვრეების თანადგომა ბავშვობიდანვე ჩვევად აქვთ ჩვენთან ქცეული. ყოველივეს კი სკოლაში, პიონერულ რგოლში, რაზმში, რაზმეულში ეყრება საფუძველი.

რაზმეულში მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმის მუშაობის კარგი ტრადიცია არსებობს. პიონერები ხშირად ხვდებიან მათ, მართავენ მათთვის კონცერტებს, თავის მხრივ მესაზღვრეებიც ესტუმრებიან ხოლმე სკოლას.

ოქტომბრელებს რომ პიონერთა რიგებში ვიღებთ, მათთვის ყელსახვევის გადაცემის საპატიო უფლებას მესაზღვრეებს ვანიჭებთ. სკოლაში მოქმედებს რაზმი „მნმ“ (მესაზღვრის ნორჩი მეგობარი), იგი 20 პიონერსა და 5 კომკავშირელს აერთიანებს. მერაბ ბათაძე, გენადი გოგაძე, ახმედ კონცელიძე, აიშე ვახტანგაძე, ასმათ დავითაძე, ზაზა ზოიძე, ნაირა ბერიძე, ნარიმან ჯაბელაძე, დათო დავითაძე და სხვები 28 მაისს (ეს ჩვენი რაზმეულის პიონერული აქტივის ტრადიციაა) პირადი განცხადების საფუძველზე ნორჩ მესაზღვრეთა რაზმში მივიღეთ; რაზმში მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ხვდებიან.

რაზმს თავისი კომისარი ჰყავს, რაზმის შტაბს მოსწავლეთა საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით ვირჩევთ, პიონერული შტაბი ნიშნავს რაზმის კომისარს და დავალებებს უნაწილებს პიონერებს.

მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრის რაზმის კომისარია ახმედ კონცელიძე, მისი მოადგილეა მერაბ ბათიძე; გენადი გოგაძე შტაბის უფროსია, ასმათ დავითაძე და ნარიმან ჯიბლაძე — მეკავშირეები.

რაზმი ჯგუფებად იყოფა. თითოეულ ჯგუფში 5-7 პიონერია, რომელსაც შტაბის მიერ გამოყოფილი ჯგუფის მეთაურები უძღვებიან.

მესაზღვრის ნორჩ მეგობართა რაზმს თავის სამუშაო გეგმა აქვს. ამ რაზმის წევრი აუცილებლად კარგად უნდა სწავლობდეს — ასეც არის. მათ შორის განსაკუთრებით მეკავშირე ასმათ დავითაძე გამოირჩევა. სწავლის ხუთოსანი გოგონა. ძალზე აქტიურია, უყვარს საზოგადოებრივი დავალებების შესრულება, ამასთან ერთად პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედის გმირიც არის. ასმათი ყოველ ზაფხულს, მე-3 სემესტრში 1500 ზონარმეტრზე მეტ თამბაქოს ნემსავს ხოლმე. კარგად შრომობენ რაზმის დანარჩენი პიონერებიც. რაზმის კომისარი ახმედ კონცელიძეც კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევა. მას სკოლაში დიდი ავტორიტეტი აქვს, სწორედ ეს აძლევს ახმედს თავკაცობის უფლებას. ბავშვებსაც სჯერათ მისი და ყველაფერში მიჰყვებიან. ახმედს წესრიგი უყვარს და მის რაზმში ნამდვილი სამხედრო დისციპლინაა. რაზმის კომისარი ისე მიეჩვია თავისი მოვალეობის შესრულებას, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სკოლის შემდეგ სამხედრო სასწავლებელში განაგრძოს სწავლა, თავისი მომავალი საბჭოთა არმიას დაუკავშიროს. ამასვე ფიქრობს ნარიმან ჯიბლაძეც.

მესაზღვრის ნორჩ მეგობართა რაზმის წევრები კეთილი საქმეების მოთავენი არიან სკოლასა და სოფელში. მათ მოამზადეს ვიქტორინა „60 კითხვა, 60 პასუხი“. ღობე შემოავლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ორი მესაზღვრის საფლავს სოფლის მახლობლად.

რაზმეულში წითელკვალისმაძიებლებსაც თავის დავალება აქვთ. ისინი სწავლობენ გამოჩენილი საბჭო-

ქეთინო ლემსაძე.

ზაზა ზოიძე.

მარინე ბათაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჩეკისტების ცხოვრებას, შეაგროვეს მასალები ფელიქს ძერჟინსკის ცხოვრებაზე. სწორედ ამის შემდეგ, ეთერ დავითაძის წინადადებით, „მნმ“ რაზმს ძერჟინსკის სახელი ეწოდა.

მოსწავლეებმა მესაზღვრეების დახმარებით მოამზადეს თემატური სტენდი. მათივე ხელშეწყობით ხშირად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები. მესაზღვრეები მონაწილეობენ პიონერთა შეკრებებში, ზეიმებში.

მესაზღვრის ნორჩ მეგობართა რაზმის დევიზია „555“, რაც ნიშნავს — ვისწავლით ხუთზე, ვიშრომებთ ხუთზე, სამშობლოს საზღვრებსაც დავიცავთ ხუთზე.

რაზმს თავისი ალბომი აქვს; მის თავფურცელზე სამშობლოს რუკაა დახაზული. ეს ალბომი რაზმის საინტერესო ცხოვრებაზე მოგითხრობთ. რაზმის გეგმა ყოველთვის საინტერესოა. მასში გათვალისწინებულია შეხვედრები, ლაშქრობები, საუბრები...

ახლა რაზმის წევრები სპეციალურ ალბომებს ადგენენ: „დიდი სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეები“, „კანონიერება და მართლწესრიგი“, „ლენინი და მისი თანამებრძოლები“, „არმიაში მყოფი ჩვენი თანამემამულეები“.

რაზმის წევრთა დიდი ნაწილის ცხოვრება და საქმიანობა, მტკიცე დისციპლინას ექვემდებარება — ისინი ამაშიც მესაზღვრეებს ბაძავენ.

მთელ ამ საქმეს რუსული ენის მასწავლებელი ახმედ ბერიძე ხელმძღვანელობს. ჯარისკაცებთან, სახალხო რაზმელებთან მეგობრობა პიონერებს ნებისყოფას უმუშავებს, პასუხისმგებლობის გრძნობას უძლიერებს.

ჩვენი პატარა სოფლიდან ბევრი ჭაბუკი იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე, მათგან არც ერთი არ დაბრუნებულა. ზურგში აქტიური შრომითი გმირობისათვის კი იმ წლებში სოფლის არაერთ მშრომელს მიუღია მთავარსარდლის მადლობა. კვალისმაძიებლები მათ შესახებაც აგროვებენ მასალებს.

— ჰკითხე შენს თავს: დღეს რა გააკეთე შენი ქვეყნისათვის კარგი და სასარგებლო? როგორ ეხმარები მას მე-11 ხუთწლედის საქმეების შესრულებაში? როგორ სწავლობ, რომ მშობლიური მიწის ნამდვილი მზრუნველი პატრონი გახდე? — ვეკითხებით მათ და პიონერებიც პასუხად მოგვითხრობენ თავიანთ პიონერული რაზმების საქმეებზე, მესაზღვრის ნორჩ მეგობართა, რაზმის მუშაობაზე. „მნმ“ რაზმთან ერთად მიაბიჯებენ ისინი საკავშირო მარშის მარშრუტებით, იპყრობენ პიონერულ სიმაღლეებს, მონაწილეობენ პიონერული საქმეების ხუთწლედში და პირნათლად ასრულებენ დადებულ სიტყვას.

დიახ, ჩვენი ქვეყნის 270-მილიონიან ნორჩ ლენინელთა არმიის მიერ ერთხმად წარმოთქმულ სიტყვებს: საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე! უერთდება ჩვენი პიონერების, მესაზღვრის ნორჩ მეგობართა რაზმის წევრების წკრიალა ხმა: — საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!. ერთგულ დარაჯად ვიგავარ მისი საზღვრის სადარაჯოზე...

ასმათ დავითაძე,

ნარიმან ჯიბლაძე.

ახმედ კოტეელიძე.

ჯიბო ოაუარიძე

ვაზი

ქართველს ჩვევა უძველესი
თან გამოჰყვა შორი გზიდან —
მეხრისა და მხედრის წესით
ცხოვრობდა და ვაზსაც ზრდიდა.

ეს ვაზები შეკრულ უბით
ძველ მეომრებს არ ჰგავს განა? —
ჭიგო ხელში, როგორც შუბი,
უპყრიათ და მტკრივად დგანან.

წყარო

გადმოდის, მოსჩქეფს, იღვრება
უწყვეტ სიცოცხლედ, შვებად.
არც წვიმისაგან იმღვრევა,
არც გვალვისაგან შრება.

მუდამ ბროლივით ქათქათებს,
კვებავს უშრეტი ფესვი.
ვალად ერთ წვეთსაც არ გადებს,
რამდენიც გინდა — შესვი.

ერთ მადლობასაც არ ითხოვს, —
სიცოცხლეს გაძლევს, ზვარო!
ძილსა და დაღლას დაგიფრთხობს,
წყურვილს მოგიკლავს, მგზავრო!

ნეტავი კაცსაც ამკობდეს
წყაროს ბუნების ძალა:
ქმნიდეს და არკი ამბობდეს,
არვის ადებდეს ვალად...

ვაჩაგან მელქონიანი

ერთმა დედამ გამოგვზარდა

საუკუნო გზებით მავალ
ორ მეზობელს — სომეხს,
ქართველს —
რა დაულევს დიდ სიყვარულს,
რა დაულევს ძმობის ნათელს.

ერთი დედის ნაშობნი ვართ,
ეროი ძუძუ გვიწოვია,
ოდითგანვე ჭირშიც, ლხინშიც
ერთმანეთი გვიპოვია.

ერთ ფერხულში ჩაბმული ვართ
ამ ბედნიერ, მზიან დროში;
სიყვარულმა აგვიმაღლა,
წინ მივდივართ ძმობის დროშით!

სომხურიდან თარგმნა ს. მხარგრძელმა

იქნებ თქვენ ვანლეთ კონ-სტრუქტორები?

ანდრე ქარბელაშვილი

ბხატვარი
იოსებ სამსონაძე

კონსტრუქტორი... ალბათ ბევრჯერ გაგიგონიათ ეს სიტყვა. კონსტრუქტორები აპროექტებენ და ქმნიან ახალ თვითმფრინავებს, ავტომობილებს, მექანიზმებს, მოწყობილობებს, რობოტებს, ავტომატებს. ისინი ცალკეულად კი არ მუშაობენ, არამედ გაერთიანებული არიან საკონსტრუქტორო ბიუროებში. მაგრამ იცით, რომ თურმე ბუნებაშიც არსებობს ერთგვარი საკონსტრუქტორო ბიურო — თავისებური ტექნიკური შემოქმედების ადგილი, საიდანაც ინჟინრებმა ბევრი რამ შეიძლება გამოიყენონ თავიანთ მუშაობაში?

საკვირველია, რომ ბუნებამ ზოგიერთი სახეობის გველი დააჯილდოვა უნარით — შეიგრძნონ ტემპერატურის სხვაობა, გინდაც ეს სხვაობა გრადუსის ერთ მეათასედს უდრიდეს; საკვირველია, რომ რწყილი კბენის დროს ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე ერთ მილიონ კილოგრამამდე დაწოლას ავითარებს. ანდა, იცით, რომ პირველი ჩამოკიდებული ხიდის კონსტრუქციის დამუშავებისას ადამიანმა ობობას ქსელს მიბაძა?!

თევზი... რა უნდა ჰქონდეს მას ისეთი, რითაც კონსტრუქტორები დაინტერესდებოდნენ? მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, იგი წყალში გრძნობს ძალზე სუსტი სუნის მქონე ნივთიერების არსებობას... ახლა მეცნიერები იკვლევენ, როგორ ხდება ეს და, თუკი მიაგნებენ ამ საკვლევ ამ უჩვეულო შეგრძნების საიდუმლოებას, ინჟინრებს მდიდარ მასალას მიაწვდიან ახალი ხელსაწყოს დასამზადებლად, ხელსაწყოსი, რომელიც, მაგალითად, არალის ზღვის ერთ ნაპირზე შეიგრძნობს მის მეორე ნაპირთან წყალში ჩასხმული ერთი კოვზი ნივთიერების სუნს და მაშინვე სასიგნალო ნათურას აანთებს.

ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს მედუზის ერთი შესანიშნავი უნარი — 12-15 საათით ადრე იგრძნოს მოსალოდნელი ძლიერი ღელვა. ამ დროს ის ღრმად ჩადის წყალში და უშიშარ ადგილებს აფარებს თავს. ასე რომ არ მოქცეულიყო, ხომ ნაფლეთებად აქცევდა ზღვის მძლავრი ტალღები? როგორ იგებს მედუზა ამინდის გაუარესებას რამდენიმე საათით ადრე? გულმოდგინე გამოკვლევების შემდეგ ამ საიდუმლოებას ფარდა აეხადა.

თურმე, ძლიერი ღელვის დროს ზღვაში წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული ინფრაბგერები, რომლებიც ადამიანს არ ესმის, სამაგიეროდ, მედუზა კარგად აღიქვამს მათ.

თუკი ასეა, რატომ არ შეიძლება შეიქმნას ხელსაწყო, რომელიც შეიგრძნობდა წყალში წარმოქმნილ ინფრაბგერებს და ზღვაში მყოფ ადამიანებს წინასწარ შეატყობინებდა ამინდის მოსალოდნელ გაუარესებას?

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკას კათედრის წევრებთან ერთად კონსტრუქტორებმა უკვე დაამზადეს ასეთი ხელსაწყო. იგი შედგება რეზონატორის, ეგრეთ წოდებული „სმენადობის“ ელექტროკვარცული მიმღების ელექტრონული გამაძლიერებლისა და ინდიკატორისაგან.

წყალში წარმოქმნილ ინფრაბგერებს აძლიერებს რეზონატორი, ისინი პიეზოკვარცულ მიმღებზე მოქმედებენ და წარმოიქმნება ელექტრული სიგნალი, რომელსაც აძლიერებს ელექტრონული გამაძლიერებელი. ეს სიგნალი უკვე უშუალოდ ინდიკატორზე მოჩანს — ინდიკატორის ისარი ერთეულებში (ბალებში) გამოხატავს ღელვის ძალას.

ახლა ზღვაში მიმავალ გემებზე კატარღებზე დადგმული [illegible] საწყოები წინასწარ, 12-15 საათით ადრე ატყობინებენ კაპიტნებს მოახლოებულ საშიშროებას.

მაგრამ ნუ „დაიტრაბახებს“ მედუზა, თითქოს მარტო მას მიეცეს კონსტრუქტორებისთვის საინტერესო ტექნიკური სიახლის შექმნის იდეა. თურმე ინფრაბგერების შეგრძნობის ნამდვილი პროფესორი ღამურა ყოფილა...

აი, როგორ დაიწყო ყველაფერი.

1793 წელს იტალიელმა მეცნიერმა სპალანცანიმ შენიშნა, რომ ღამურები თავისუფლად დაფრინავდნენ ბნელ ოთახში. ამის საიდუმლოება რომ აეხსნა, მან ღამურები დაიჭირა. მაგრამ ფრინველები მაინც მოხერხებულად დაფრინავდნენ სიბნელეში — არც კედლებს და არც სხვა საგნებს არ ეჯახებოდნენ.

ეტყობა, ღამურები სმენით იკვლევენ გზასო, — გაიფიქრა მაშინ იტალიელმა მეცნიერმა.

გავიდა დრო. შვეიცარიელმა მეცნიერმა ჟიურანმა ღამურას ცვილი ჩაასხა ყურებში და სმენა დაუხშო მას.

და აი, სიბნელეში ღამურა უკვე ვეღარ დაფრინავდა თავისუფლად, გზას ვეღარ იკვლევდა. მაშინ მეცნიერი მიხვდა, რომ ღამურა რაღაც ბგერით სიგნალებს ასხივებდა, მერე კი მის ექოს შეიგრძნობდა ყურებით. ამიტომ დაფრინავდა დაუბრკოლებლად ბნელ ოთახში.

1937 წელს ამერიკელმა პირსმა მის მიერ გამოგონებული მიკროფონით შეძლო დაედგინა ღამურას მიერ წარმოქმნილი ბგერების ხასიათი. ეს იყო ულტრაბგერები, რომელთა სიხშირე 30000-70000 ჰერცს შეადგენდა. პირსმა ოთახში მავთულები გაბა. ღამურა კარგად იკვლევდა გზას მავთულხლართებში. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი გაიორკვა: ულტრაბგერებს ღამურა პირით და ცხვირით ასხივებდა, ხოლო ექოს ყურებით ღებულობდა.

მიფრინავს ღამურა წყლის პირზე, სიგნალებს გზავნის წყალში და, თუ ამ სიგნალების ექოს შეიგრძნობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ც ს — მის პირდაპირ თევზია. საოცარია ღამურას სმენის აპარატის მგრძნობიარობა. თურმე ულტრაბგერითი სიგნალის მხოლოდ 0,12 პროცენტი ენერგია აღწევს თევზამდე და იგი მაინც იღებს მისგან არეკლილ მისუსტებულ ექოს!

სწორედ ღამურას ამ საკვირველი უნარის პრინციპებზე მოაწყეს კონსტრუქტორებმა უცხოეთში რადიოლოკაციური სისტემა წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად. თვითმფრინავზე დადგმული რადიოლოკატორი სიგნალებს გზავნის წყლის სიღრმეში და, თუ იგი აირეკლა, ეს ნიშნავს, რომ ქვევით წყალქვეშა ნავია.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში განსხვავება ის არის, რომ რადიოლოკატორი წყალში გზავნის ელექტრომაგნიტურ ტალღებს და არა ულტრაბგერებს.

საინტერესოა, რომ თვითმფრინავებზე დადგმული რადიოლოკატორების საშუალებით ავტომატურად ხდება კურსის შეცვლა — თუ დაბლა ფრენის დროს თვითმფრინავის წინ სიბნელეში რაიმე დაბრკოლება აღმოჩნდა, თვითმფრინავი უსაფრთხო ტრაექტორიით გადაევლება მას.

ყოველ წელს მილიონობით ჩიტები ჰკვეთენ ოკეანეებს, მატერიკებს, ზღვებს და ზუსტად თავიანთ ბუდეებს აღწევენ. ადამიანებსაც აქვთ შტურმანის სისტემები — ავტომატური და საიმედო. მათი დახმარებით შეიძლება მოიძებნოს პლანეტაზე დაკარგული ფეხბურთის ბურთის ზომის საგანი, გაიგზავნოს რაკეტა მეზობელ ნახევარსფეროში მდებარე კალათბურთის რგოლში, მაგრამ ვერც ერთი შესანიშნავი შტურმანის სისტემა და სანავიგაციო მოწყობილობა ვერ შეედრება ჩვეულებრივი მერცხლის ორიენტაციის უნარს. აქ ინჟინრებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ ბუნებისაგან.

იაპონელმა ინჟინრებმა და ბიოლოგებმა დაადგინეს, რომ ზვიგენის ფორმა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ყველაზე უფრო სრულყოფილი თანამედროვე გემისა. გემთმშენებლებმა დიდი, ზვიგენის სხეულის მსგავსი საოკეანო გემი ააგეს და მაშინვე ცხადი გახდა ახალი კონსტრუქციის უპირატესობა.

ბიოლოგიური პრინციპი დაედო საფუძვლად საბჭოთა თოვლმავალ მანქანა „პინგვინს". ის ზუსტად ამართლებს თავის სახელწოდებას, სწორედ პინგვინისებური მექანიკური მოძრაობებით დადის თოვლში.

...ადამიანებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ ბუნების „საკონსტრუქტორო ბიუროს" და არ შეეცადონ მის გაუმჯობესებას.

სწორედ ამან განაპირობა ახალი მეცნიერების — ბიონიკის შექმნა.

ახალი მეცნიერების სახელწოდება წარმოიქმნა ბერძნული სიტყვისაგან „ბიონ"—სიცოცხლის ელემენტი. ეს მეცნიერება სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებს და პროცესებს, რათა მიღებული ცოდნა შემდგომ გამოყენებული იქნას დღევანდელი საკონსტრუქტორო ამოცანების გადასაწყვეტად.

ძნელია განისაზღვროს, რა გასაოცარი ავტომატები თუ ხელსაწყოები დამზადდება არცთუ შორეულ მომავალში. მაგრამ ყველა თქვენგანი გახდება ამის მოწმე, თუმცა მოწმე კი არა, მეტიც — იქნებ თქვენ თვითონ გახდეთ ამ ხელსაწყოთა კონსტრუქტორები.

ჯანმა-იოგა გვირჩევს

ალექსი იაკობაშვილი



ჰათჰა-იოგას სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწორ კვებას. იოგებს მიაჩნიათ, რომ სწორ კვებაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა, გუნება-განწყობილება, შრომისუნარიანობა, ფსიქიკური წონასწორობა და ხალისი.

გთავაზობთ კვებასთან დაკავშირებულ რამდენიმე რჩევას და ვიმედოვნებთ, რომ ისინი დაგეხმარებიან კვების გონივრული რეჟიმის გამომუშავებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თქვენი ჯანმრთელობის შენარჩუნება-გამაგრებას.

საჭმელი უბრალო და ბუნებრივი უნდა იყოს. დასაშვებია შერეული საჭმელი. სულაც არ არის აუცილებელი უხორცო დიეტა. მაგრამ ხორცი ძირითადი საკვები კი არ უნდა იყოს, არამედ ყოველდღიური რაციონის ერთ-ერთი შემადგენელი პროდუქტი. გირჩევთ უპირატესობა მიანიჭოთ ხილს, ბოსტნეულს, უმ მწვანილს, რძეს, კარაქს, თაფლს. საერთოდ, თუკი ადამიანს საშუალება აქვს ასე იკვებოს, უმჯობესია ხორცი სულაც არ ჭამოს. ძალზე სასარგებლოა ხახვი და ნიორი. ინდოეთის ძველ სწავლულთა აზრით, ნიორი კიბოს პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ნიორი აუცილებლად უნდა შედიოდეს ადამიანის რაციონში — ვისაც ნივრის სუნი არ სიამოვნებს, შეუძლია აურიოს იგი ლიმონის წვენში. ნივრისა და ხახვის ღეჭვა საუკეთესო საშუალებაა ღრძილების დაზიანების და პირის ღრუს ლორწოვანიდან სისხლის დენის საწინააღმდეგოდ.

ჯანმრთელობისათვის ერთობ საჭირო საკვები პროდუქტია ლიმონი, იგი ყველამ უნდა ჭამოს ზამთარ-ზაფხულ. სპეციალისტები რევმატიზმით დაავადებულებს დღეღამეში 2-3 ლიმონის წვენის მიღებას ურჩევენ. ძალიან სასარგებლოა აგრეთვე თაფლში არეული ლიმონის გახეხილი კანი. ართრიტით დაავადებულებს ვურჩევთ მიიღონ შემდეგნაირად დამზადებული სასმელი: ოთხი ლიმონი და ფორთოხლის ოთხი ფოთოლი ადუღეთ სამ ჭიქა წყალში, ვიდრე ერთი ჭიქა წვენი დარჩება, შემდეგ დაუმატეთ თაფლი და ნახევარი ლიმონის წვენი. ჯერ წვენი გამოწურეთ, შემდეგ თვით ლიმონიც ჩადეთ და დალიეთ ძილის წინ ორი სუფრის კოვზი.

საზოგადოდ საჭმლის რაოდენობას ორგანიზმის მოთხოვნილება უნდა განსაზღვრავდეს. მისი განმსაზღვრელია აგრეთვე სამუშაო, რომელსაც ასრულებს ადამიანი და მუშაობის ადგილიც.

გირჩევთ ჭამოთ ნელა, მთელი ყურადღებით. თუ შინ დაღლილი დაბრუნდით, ჭამის წინ სულ ცოტა ათი წუთი მაინც უნდა დაისვენოთ, რადგან ყველა ორგანოსთან ერთად კუჭიც დაღლილია, მას არ შეუძლია საჭმლის მიღება და სათანადოდ დამუშავება. არ შეიძლება ჭამა, როდესაც გაბრაზებული ხართ, რადგან საჭმელი ენერგიას იძლევა, ხოლო ამ შემთხვევაში ეს ენერგია უარყოფით ემოციებს ემსახურება. ეცადეთ, ჭამის დროს მშვიდად იყოთ, ეს განგიმტკიცებთ ხასიათს, ფსიქიკურ ძალებს.

ცნობილია, რომ მაცივარი აუცილებელია პროდუქტების შესანახად, მაგრამ მისი არასწორად ხმარება საზიანოა. მაცივრიდან გამოღებული ძალიან ცივი წყლის დალევა შლის კბილებს, იწვევს ლორწოვანი გარსის ანთებას, ცივი წყალი უარყოფითად მოქმედებს ენის ლორწოვან გარსზე, იწვევს გემოს დაქვეითებას, ენა სრულყოფილად ვეღარ ასრულებს საკვების კონტროლიორის ფუნქციას. გარდა ამისა, ძალიან ცივი წყალი აზიანებს კუჭს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს. შინაგანი ორგანოებისათვის ყველაზე საზიანოა გაციებული ხილი. ცივი ხილის ნაწილაკები, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი საკმაოდ არ არის დაღეჭილი, დიდხანს რჩება კუჭში, აცივებს არა მარტო მის ლორწოვან გარსს, არამედ ყველა ახლომდებარე ორგანოსაც. არანაკლებ მავნეა ცხელი საჭმელი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოებს ცხელი ისევე აზიანებს, როგორც ცივი. იოგებს მიაჩნიათ, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს ბუნების მოთხოვნათა შესაბამისად და მაშასადამე, ჭამოს არც მეტისმეტად ცხელი და არც მეტისმეტად ცივი საჭმელი.

იოგები მადას შეგნებას უქვემდებარებენ. ისინი მხოლოდ მაშინ ჭამენ, როდესაც შიმშილს გრძნობენ, ძალიან დიდხანს და გულმოდგინედ ღეჭავენ ყოველ ლუკმას, სანამ საჭმელი კარგად არ აირევა ნერწყვში და ნახევრად სითხისებრი კონსისტენციისა არ გახდება. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა ე. წ. პრანის მიღების თვალსაზრისით.

იოგების თეორიის თანახმად, ყოველნაირი საკვები, განსაკუთრებით ბოსტნეული, ხილი, რძე, თაფლი, შეიცავს პრანას, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისათვის, ენერგიისა და ჯანმრთელობისათვის. თქვენ უკვე იცით, რომ ცხვირი შთანთქავს პრანას ჰაერიდან, საკვების საშუალებით კი პრანა პირიდან ორგანიზმში აღწევს. საკვების ყოველი ატომი შეიცავს უსასრულო რაოდენობით პრანას, ამიტომ, თუ საჭმელი კარგად არის დაღეჭილი, ორგანიზმი მეტ პრანას ღებულობს. ჰაერიდან და საკვებიდან პრანა აღწევს სისხლში, ხორცში, ძვლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროვდება ნერვულ ცენტრებში და ცენტრალური ნერვული სისტემის განკარგულებაში რჩება.

ქალაქის მცხოვრებლებს შორის ხშირია კუჭის დაავადება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ისინი ჩქარობენ, სწრაფად ჭამენ და საკმაოდ არ ღეჭავენ საჭმელს. კუჭში მოხვედრამდე პირის ღრუში საჭმელს ამუშავებს ბუნების მიერ დამკვიდრებული საჭმლის მექანიკური დამუშავების შესანიშნავი აპარატი — კბილები. თუ კბილებით არასაკმარისად სარგებლობთ, საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ნაწილები ვერ ახერხებენ საკვების მექანიკურ დამუშავებას. ამ დროს იზრდება ქიმიური დამუშავების ძალა, გამოიყოფა უფრო მეტი და უფრო ძლიერი მომნელებელი წვენები, რაც ზიანს აყენებს მთელ სისტემას.

საჭმლის საგულდაგულო დაღეჭვა არა ნაკლებ საჭიროა საღი კბილების შესანარჩუნებლად. ღეჭვის დროს კბილის ფესვები ღებულობს დიდძალ სისხლს, რომელიც კვებავს მათ. თუ კბილები არასაკმარის მექანიკურ სამუშაოს ასრულებს, მათში სისხლის მიმოქცევა დაქვეითებულია, რაც ხელს უწყობს მათ ატროფირებას, დაშლას. ბავშვები პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ საჭმლის კარგად დაღეჭვას, ამით მათ კბილები გაუმაგრდებათ და დიდხანსაც შეენახებათ.

აღსანიშნავია, რომ ჰათჰა-იოგას დებულებებს, განსაკუთრებით ადამიანის კვების საკითხში თითქმის მთლიანად ემთხვევა თანამედროვე მედიცინის მონაცემები.

გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ მარილისა და შაქრის ხმარებაზე. ერთ-ერთ სამედიცინო სიმპოზიუმზე, რომელიც ქალაქ ფრანკფურტში ჩატარდა, ნამდვილი სასამართლო პროცესი მოეწყო სუფრის მარილის მიმართ. ამ ბუნებრივი ნივთიერების თეთრ კრისტალებში ექიმები ხედავენ მსოფლიოში გავრცელებული დაავადების, „XX საუკუნის შავი ჭირის", ჰიპერტონიის საწყის მიზეზებს. დადგენილია, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში მარილის დაგროვებით დაავადებულთა რიცხვი მეტია, ვიდრე კიბოთი დაავადების შემთხვევები.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჰიპერტონიისა და მისი შედეგების, გულის ინფარქტის, ათეროსკლეროზის, ინსულტის, თირკმელების დაავადების გავრცელება დაკავშირებულია ადამიანის მიერ ჭარბი მარილის მიღებასთან. დასავლეთ ევროპის მცხოვრები საშუალოდ ყოველდღიურად ღებულობს 15 გრამამდე მარილს, ამ ნივთიერებით ორგანიზმის ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი 7 გრამზე ნაკლებია საჭირო (განსაკუთრებით ჭარბადაა მარილი დაკონსერვებულ პროდუქტებში). დადგინდა, რომ იაპონელები ღებულობენ 40 გრამამდე მარილს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იაპონიაში ჰიპერტონიით დაავადებულთა რიცხვი ერთობ დიდია. სუფრის მარილის ზედმეტად მიღების შედეგია ის, რომ ორგანიზმში საჭიროზე მეტი სითხე რჩება, მისი სიჭარბის გამო უჯრედები ფართოვდება, სისხლის ძარღვები კი ვიწროვდება და ამას სისხლის წნევის მომატება მოსდევს. ასეთ შემთხვევაში გულს გაძლიერებული მუშაობა უხდება, ერთდროულად მატულობს თირკმელების დატვირთვაც. ორივე ეს ორგანო შედარებით უფრო იოლად ცვდება, რადგან მათ ხანგრძლივად უწევთ ზედმეტი დატვირთვით მუშაობა.

ადამიანის კვების რაციონში თვალსაჩინო ადგილი უკავია შაქარს, რომელსაც საერთოდ დამატების სახით ხმარობენ, კვების პროდუქტების გემოს გასაუმჯობესებლად. ბოლო დროს ამ დამატების მოხმარება იმდენად გავრცელდა, რომ იგი ორგანიზმში მოხვედრილი კალორიების ერთ მეოთხედს შეადგენს. შაქარს ხმარობენ ჩაისა და ყავისათვის, აგრეთვე საკონდიტრო ნაწარმში, უალკოჰოლო სასმელებში. დიეტოლოგებმა შეისწავლეს შაქრის გამოყენების შედეგები და წამოაყენეს მოწოდება ამ პროდუქტის გამოყენების შემცირებაზე. ექიმების ამ ბოიკოტს შაქრის მიმართ სერიოზული საფუძველი აქვს. ადამიანის ტრადიციული საკვებისაგან განსხვავებით (პური, ხორცი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები) შაქარი სუფთა ქიმიურ ნივთიერებას — სახაროზას წარმოადგენს. მას ღებულობენ ჭარხლის რთული, მრავალსაფეხურებრივი გადამუშავების შედეგად. ბოლო სტადიებზე შაქარს ასუფთავებენ, აკრისტალებენ და ფილტრავენ. მიღებული პროდუქტი არ შეიცავს არც ვიტამინებს, არც მარილებს და არც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც პრაქტიკულად ყველა მცენარეული და ცხოველური წარმოების პროდუქტში შედის.

საკვების ძირითადი ნახშირწყლის — მცენარეული წარმოშობის სახამებლისაგან განსხვავებით, რომელიც ნელ-ნელა გარდაიქმნება გლუკოზად და შემდეგ თანდათანობით გადადის სისხლში, შაქარი სწრაფად გადადის სისხლის ნაკადში. მეცნიერთა აზრით მისი დიდი რაოდენობით გამოყენებისას წარმოიშობა გიპერგლიკემია, ანუ სისხლის გადაჯერება შაქრით, რაც წარმოქმნის ნაკლებად მნიშვნელოვანი კალორიების მარაგს, რომელიც ორგანიზმს არ ესაჭიროება, უმეტეს შემთხვევაში ეს იწვევს წონის მომატებას, სიმსუქნეს, აქედან კი ერთი ნაბიჯია ათეროსკლეროზამდე და ჰიპერტონიამდე.

საბჭოთა მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ სრულყოფილი კვებისას შაქრის მიმართ დამოკიდებულება მკაცრად ინდივიდუალური უნდა იყოს. ზოგს შეუძლია მეტი რაოდენობით მიიღოს ტკბილეული, ხოლო ზოგისთვის ის კატეგორიულად აკრძალულია. მისი მიღების საერთო ფორმულა კი ასეთია — რაც ნაკლებია, მით უკეთესი. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ დღე-ღამეში არ გადავაჭარბოთ 50-60 გრამს. ეს შეესაბამება საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის ბოლო რეკომენდაციებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
ნითელი ნიგნი

ზოლებიანი აფთარი

მტაცებელთა რიგისა და აფთრისებრთა ოჯახის ამ წარმომადგენელს გადაშენების საფრთხე ემუქრება.

ერთი შეხედვით ზოლებიანი აფთარი ძაღლს წააგავს, მაგრამ სხეული უფრო მასიური აქვს, თავი შედარებით დიდი, კისერი მოკლე, ფეხები მოღუნული, წინა ფეხები უფრო გრძელი, ვიდრე უკანა. ამის გამო ზურგი მკვეთრად აქვს დახრილი სხეულის უკანა ნაწილისაკენ. სხეულის სიგრძე 110-130 სმ-ია, კუდისა 30-45. აფთარს გრძელი და უხეში ბეწვი აქვს. ხერხემალს შავი, უხეშბეწვიანი ფაფარი გასდევს. გვერდებზე შავი, ზოგჯერ წყვეტილად განივი ზოლები აქვს.

ზოლებიანი აფთარი გავრცელებულია აფრიკაში, არაბეთში, ირანში, ავღანეთში, ინდოეთში, მცირე აზიასა და შუა აზიის სამხრეთ რაიონებში. საბჭოთა კავშირში გვხვდება ამიერკავკასიაში — სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. ადრე ზოლებიანი აფთარი გვხვდებოდა თბილისის მიდამოებამდე. ამჟამად საქართველოს ფარგლებში იგი ერთეულების სახით შემორჩენილია მხოლოდ წითელწყაროს რაიონში, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში, პანტიშარას, მამაჩკისა და ყუმუროს უბნებში.

აფთარი უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების ტყე-ბუჩქნარიანი ადგილების ბინადარია. უპირატესობას აძლევს დაუსახლებელ მყუდრო, კლდიან ღელეებს, სადაც ტყე-ბუჩქნარი, ხრამი ერთმანეთშია არეული და გამოქვაბულებს ქმნის,

უცხოური ანეკდოტი

შეჯიბრი

სამი მეზღვაური შეხვდა ერთმანეთს, ერთმა მათგანმა წაიტრაბახა:

— უკანასკნელ ხანებში ისეთი დიდი გემით დავცურავდი, რომ კაპიტანი ბრძანების გასაცემად გემბანზე ავტომობილით დადიოდა.

მეორემ აგდებულად ჩაიქნია ხელი და უთხრა:

— ეგ რა არის! მე ისეთ გიგანტზე ვიყავი, კაპიტანი ბრძანებას რომ იძლეოდა, გემბანის თავზე თვითმფრინავით დაფრინავდა.

— ეგ ყოველივე უმნიშვნელოა! — გამოეპასუხა მესამე, — აი, მე ბოლო დროს ისეთ გემზე ვმსახურობდი, რომ შეფმზარეული, იმის შესამოწმებლად, კარტოფილი მოიხარშა თუ არაო, ქვაბში წყალქვეშა ნავით დაცურავდა.

კონცერტი

— ქალბატონებო და ბატონებო! ახლა ჩვენ მოვუსმენთ არა ერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატსა და მსოფლიოში სახელგანთქმულ ვირტუოზს. იგი შეასრულებს რამდენიმე ნაწარმოებს თავის ღვთიურ ვიოლინოზე! — გამოუცხადა მაყურებელს კონფერანსიემ.

— მაგრამ მე სულაც არა ვარ ვიოლინოზე დამკვრელი, — წასჩურჩულა შემცბარმა მუსიკოსმა კონფერანსიეს, — მე პიანისტი გახლავართ.

— ქალბატონებო და ბატონებო, — განაგრძო კონფერანსიემ, — დღეს შემსრულებელს თავისი ვიოლინო შინ დარჩა და ამიტომ იგი როიალზე დაუკრავს, რაც კიდევ უფრო რთულია!

გაზვიადება

მამა: ჯეკ, მე შენ გიამბე მეორე მსოფლიო ომში ჩემი მონაწილეობის ისტორია?

შვილი: კი, მამა, ოღონდ, ვერ გავიგე, რაღა საჭირო იყო დანარჩენი ჯარისკაცები.

-რასაც აფთარი თავშესაფარად იყენებს. სწორედ ასეთი ადგილების წყალობით გადარჩა აფთარი ვაშლოვანის ნაკრძალში. იკვებება მძორით, უფრო იშვიათად — მღრღნელებით, ქვეწარმავლებით, მდედრი შობს 2-4 ლეკვს, რომელთა აღზრდაში მონაწილეობს, როგორც მდედრი, ისე მამრი.

აფთრის კონკურენტებია: მელა, ტურა, მგელი, გარეული კატა, მოხეტიალე ძაღლი, ორბი და სვავი. ბუნებრივ მტრად შეიძლება ჩაითვალოს მგელი.

აფთრის რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზია, მისი ადგილსამყოფელის ინტენსიური ათვისება, საძოვრად გამოიყენება, ამ ადგილებში ღამით მანქანებით ბრაკონიერობა, როცა საშოვარზე გამოსული აფთარიც მონადირეების მსხვერპლი ხდება, აგრეთვე თვით ცხოველის გამრავლების დაბალი ტემპი და მოსახლეობაში გავრცელებული არასწორი წარმოდგენა, თითქოს აფთარი საშიში მტაცებელი იყოს, იტაცებდეს ბავშვებს და სხვ.

ზოლებიანი აფთარი ტყვეობას კარგად ეგუება და მრავლდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წ. დადგენილებით აფთარს, როგორც გადაშენების გზაზე მყოფ ცხოველს, იცავს სახელმწიფო.

სასადილოში

— ბატონო ოფიციანტო, უკვე ნახევარი საათია, რაც კუს წვნიანი შეგიკვეთეთ!

— კი, სინიორ, მაგრამ ამ ცხოველის თვისება ხომ იცით!

გაკვეთილზე

მასწავლებელი: გაიმეორე, რა თქვი!

მოსწავლე: ახლა არ გვარიგებდით, სხვის ნათქვამს თუთიყუშივით რუ იმეორებთო.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

ლიგნეული

ირინე ტალიაშვილი

პატარა გულების ქვეყანა

„მე თითქოს უკვე ვხედავ თქვენს მაგიდაზე გადაშლილ ჩემს წიგნს და ვღელავ. მე ხომ ასე ძალიან მინდოდა თქვენთვის რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ძალიან კარგი სიტყვების თქმა. არ ვიცი, რამდენად

მოვახერხე... ეს კია, რომ ბევრი ძებნა დამჭირდა. ბოლოს ისევ თქვენთან, პატარა გულების ქვეყანაში მივაგენი, ვიპოვე და უკანვე გიბრუნებთ“ — ამ სიტყვებით მიმართავს მკითხველს მწერალი ირინე ტალიაშვილი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში, რომლისთვისაც „პატარა გულების ქვეყანა დაურქმევია“... ბავშვების სიყვარულით, მათზე ზრუნვით, ღიმილით, სიკეთითა და ალერსიანი შუქით არის გამთბარი წიგნად შეკრული თვრამეტივე მომცრო მოთხრობა. ერთნაირი სიამოვნებით იკითხება „ჰოპლა, ცაში!“, „გამომგონებელი“, „სიბრძნის კბილი“, „კონტაქტი“, „თამაში“, „ბიჭი“, „ძაღლი“, „ვის უნდა მსახიობობა?“, „ფრონტული რელიკვია“ და სხვა დანარჩენი მოთხრობა, რომლებშიც მწერლის მიერ უტყუარად დანახული ბავშვების სხივიანი, საინტერესო და რთული სამყარო, მათი გულების ქვეყანა გადაგვეშლება თვალწინ. კოსმონავტობაზე მეოცნებე ანცი მამუკა, უკუთხო სახლის მშენებელი პატარა გამომგონებელი, უმამობით გულდაწყვეტილი ირაკლი, უფროსების უგულობით გულდათუთქული გელა და კიდევ ბევრი მათი თანატოლი სახლობს ამ სამყაროში, სახლობს, ფიქრობს, ოცნებობს, მოქმედებს, ეზიარება ცხოვრების ავ-კარგს.

გიორგი მეტრეველი

ჩიტუნები მღერიან

გიორგი მეტრეველის ცოცხალი, მეტყველი, ადვილად დასამახსოვრებელი საბავშვო ლექსები გამუდმებით იბეჭდება ჟურნალ „პიონერსა“ და „დილაში“. ახლახან კი ისინი ერთ მომცრო კრებულად აკინძული გამოსცა „ნაკადულმა“.

ამ პატარა წიგნში თქვენ ბევრ კარგ და საინტერესო ლექსს წაიკითხავთ და ხშირად ალბათ სიამოვნებითაც გაიღიმებთ.

პოეტი კარგად იცნობს ნორჩების ბუნებას, მათ საფიქრალსა და საზრუნავს. ლექსების უმეტესობა პატარებია, სახალისო და ადვილად დასამახსოვრებელი. წაიკითხეთ გიორგი მეტრეველის ლექსები თქვენს

თანატოლებზე, ყოჩაღ ბიჭებსა და გოგონებზე, ნახეთ, რა ცუდია სიზარმაცე დ ცუღლუტობა და რა კარგი — სიკეთის ქმნა, მუყაითობა და სიბეჯითე.

პასუხი 1983 წლის № 8-ში დასმულ კითხვებზე

სასახლე ძაღინაში

მდინარე ფრონეს ხეობის სიღრმეში, სოფელ ძაღინასთან, ზნაურ-ცხინვალის სამანქანო გზიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით მაღალი კოშკი და დანგრეული სასახლე დგას. ეს ხუროთმოძღვრული ანსამბლი შეისწავლა ცნობილმა მკვლევარმა ლევან რჩეულიშვილმა. სასახლე და კოშკი ერთდროულადაა აგებული და კომპოზიციურად, კონსტრუქციულად და ფუნქციურადაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სასახლისა ამჟამად მხოლოდ კედლებია დარჩენილი, კოშკი კი უკეთ არის შემონახული. ეს მყარად ნაგები ქვიტკირის შენობაა, სასახლე კი — დუღაბზე ნაგები აგურისა; კედელში ჩართულია ხის სარტყელები, ერთხელ იატაკის დონესთან, მეორედ კი თახჩების გადახურვის ფარგლებში. სადგომები გადახურულია აგურის კამარებით. კამარები გამაგრებული იყო საყრდენი თაღებით. შენობა, როგორც ჩანს, ორფერდიანი სახურავით იყო გადახურული. კოშკის საშენ მასალად უმთავრესად გამოყენებულია ნატეხი ქვა. იგი დუღაბის სქელ ფენაზეა ნაწყობი, თაღები და კამარები აგურისაა. სახურავი — ხისა. სასახლეს აღარა აქვს შიდა მოპირკეთება და აღარც ხის კონსტრუქციები. არ შემონახულა არც კედლის დეკორაციული გაფორმება. შენობა გაძარცულია, ამიტომ მის პირვანდელ სახეზე მსჯელობა შეუძლებელია, თუმცა ზოგად ხაზებში მისი მოხაზვა მაინც შეიძლება.

სასახლეს ექვსი ოთახი აქვს. ოთხი ოთახის კედლები ჯერამდეა შემორჩენილი, ორისა — მხოლოდ ფრაგმენტები. სადგომები ორ რიგად არის განაწილებული; შუაში დიდი მოგრძო სადგომებია, გვერდებზე — მცირე, კვადრატული. კოშკის გარეთა კედლები კვადრატული ოთახების კედელთა გაგრძელებას წარმოადგენს. სასახლის მარცხენა ფრთა (სამხრეთის ნაწილი) თითქმის მთლად დანგრეულია, სამაგიეროდ, შემორჩენილი მარჯვენა ფრთა სასახლის პირვანდელი სახის აღდგენის საშუალებას იძლევა. სასახლის სადგომების წინა მხარე მდ. ფრონისაკენ იცქირება, უკან ფერდობია. წინა მხარის შუა დიდ სადგომს გარე კედელი არა აქვს; როგორც ჩანს, იგი თავიდანვე ღია დერეფნად იყო განზრახული, ე. ი. სასახლეს მდ. ფრონისაკენ მიმართულ მხარეზე ღრმა ლოჯია ჰქონდა. ამავე მხარის ოთახს და უკანა დიდ დარბაზს მაღალი ღიობები აქვს დაყოლებული, ხეობისაკენ გადასახედად. შუა დიდი სადგომი საზეიმო დარბაზი უნდა იყოს. მისი წაგრძელებული სივრცე კამარით იყო გადახურული; კამარებს ოთხი საბჯენი თაღი იკავებდა. ეს დარბაზი მთლიანად დასრულებული ფორმის კამარით ყოფილა დამთავრებული. ასეთი კამარები გვხვდება ქ. თელავის სასახლის დარბაზებში, აგრეთვე ლენინგორის ქსნის ერისთავების სასახლის ქვედა სართულის ადრინდელ ფენებში. დიდი დარბაზი სამი ღიობით უკავშირდება მეზობელ, მარჯვენა მცირე ოთახს. შუა თაღი ორჯერ განიერია ნაპირებისაზე. ისეთივე ღიობები უნდა ყოფილიყო მოპირდაპირე კედლებშიც. სასახლის ზურგის გრძელი კედელი სიმეტრულადაა დაყოფილი ხუთი თახჩით; შუა თახჩა განიერია, მასში ბუხარია მოწყობილი. ბუხრის მეზობელი თახჩების მეორე სართულში სინათლისათვის ღიობებია გაჭრილი. ამ დარბაზის მოპირდაპირე კედელი მაღალი ღიობებით არის გახსნილი, ეს არის დარბაზის სინათლის ძირითადი წყარო და კომპოზიციურად ზუსტად ზის დარბაზის მხატვრულ გაფორმებაში. სიგრძის კედელზე შუაში გახსნილი ღიობებია. ერთ მხარეს ამ ღიობებში აივანზე გასასვლელი კარია გაჭრილი, მეორე მხარეს—ბუხარი. ბუხარი საერთოდ სასახლეთა მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი ყოველთვის საგანგებოდაა მოწყობილი. ბუხრის ირგვლივ თავს იყრიდნენ საპატიო სტუმრები, თვით მეფეც კი. ის სტუმარს ხშირად აქ იღებდა. ბუხრის ღიობის მეშვეობით სიგრძის ღერძის საპირისპიროდ ხაზგასმით ჩნდებოდა განივი ღერძიც, ხოლო სიგრძივი ღერძის შესუსტებით და ოთახის კვადრატულად შეგრძნების ილუზიით მყოვნდებოდა ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციული სივრცობრივი სპეციფიკა. ძაღინას სასახლის მარჯვენა ფრთის მცირე საცხოვრებელი ოთახებიც ამავე პრინციპითაა გადაწყვეტილი. ისინი პატარები, კვადრატულნი და კომპაქტურნი არიან. სივრცეები გადახურულია კამარებით, რომლებიც კრავს კომპოზიციას. ოთახები ერთმანეთთან კარით არის დაკავშირებული. წინა ოთახს მაღალი სარკმლები აქვს, უკანას — მცირე. კედელი საპმონაკვეთად არის გაყოფილი. ისინი შიდა სივრცეში მშვიდ, რიტმულად გამეორებულ სურათს ქმნიან. ოსტატი კარგად იყენებს ამ არეებს თუ ერთ კედელზე ვიწრო კარების კომბინაციას ქმნის, დიდ დარბაზში გამავალ მეორე კედელზე ერთ კარს ჭრის და გვერდებზე იმავე ზომის თახჩებს აკეთებს; ზოგან კი კარის ნაცვლად ბუხარია, ან თახჩის ნაცვლად — სარკმელი. ამრიგად, იქმნება კედლის მოძრავი სიბრტყეები. ამას თუ დავუმატებთ თახჩების სხვადასხვა ფორმასა და მდებარეობას, დავრწმუნდებით, რა დინამიკურ და ცოცხალ ილუზიას იქმნიდა კედლების გაფორმება. ასევე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი სასახლის მარცხენა ფრთაც. გამოუცნობია, როგორი იყო უკანა მცირე ოთახი, რომელიც დიდი ოთახის გაგრძელებაზე მდებარეობდა. კოშკი ხუთსართულიანია, შესასვლელი სასახლის მარჯვენა ფრთის უკანა ოთახიდან აქვს. მეორე სართულიდან კედელში დატანებულია სათოფურები, რაც მიგვანიშნებს, რომ კოშკს თავდაცვითი მნიშვნელობაც ჰქონდა. აქვეა მოხერხებულად მოწყობილი საპირფარეშოები, რაც მოწმობს, რომ კოშკს საცხოვრებლადაც იყენებდნენ. პირველ სართულში საკუჭნაოა, მის იატაკში ქვევრებია ჩასმული, კედელში — ერთი ვიწრო სარკმელი, ზურგის კედელში კი—მილი წყლისათვის. მეორე სართულში ასასვლელი ქვის კედლის სისქეშია მოწყობილი. კიბის უჯრედი გადახურულია კამარით, იგი პატარა სარკმელით ნათდება; მეორე სართულიდან მესამეში ამავალი მარშის შუაში დატოვებულია გასასვლელი. სასახლის მეორე სართული აგურის გუმბათით გადახურული კვადრატია, ჩრდილოეთით ბუხარი და კედელში გამოკვეთილი სათოფურები აქვს. ოთახი ალბათ მოსამსახურეებისათვის იყო განკუთვნილი. მესამე სართულის ოთახი დეკორაციულად უკეთ გაფორმებულია, აქვს ვარსკვლავიანი კამარა, რომელიც ოთხ ტრომპსა და კედელზე დაკიდებულ ოთხ თაღს ეყრდნობა. აქვეა ბუხარი. სათოფურები აქაც სამ მხარეზეა მოწყობილი. ქვედა სართულთან შედარებით მესამე სართულის ოთახი კარგად არის განათებული, რადგან აქ ორი სარკმელია, თუმცა ძალზე ვიწრო. ოთახს აქვს ორი კარი: ერთი — შესასვლელი, მეორე — ზედა სართულში ასასვლელი. აქვეა საპირფარეშო. მეოთხე, დაბალი სართული, ადრე ხით იყო გადახურული, მას აქვს ხვრელები და ბუხარი. ოთახი, ჭერის სიდაბლის გამო, საცხოვრებლად უვარგისია. ეს არის მთავარი საბრძოლო სართული. ხვრელებიდან ალბათ მდუღარეს ასხამდნენ. მეხუთე სართული ყველაზე ეფექტური და ლამაზია. სამ მხარეს იგი განიერი, მაღალი, ისრისებური ღიობებითაა გახსნილი. აქედან ლამაზი ხედი იშლება ფრონეს ხეობისაკენ. უკანა კედელი ყრუა. შიგ ბუხარია დაყოლებული; გადახურულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობ თუ არა ეს ეფოხიერ მხარეს?

*

გავშვებო, მოგვწერეთ რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რაციით მის შესახებ.

*

აგურის გუმბათით, რომელიც ტრომპებს ეყრდნობა. სასახლის ექსტერიერი მთლიანი სახით არ შემონახულა. დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ კოშკი იპყრობს, რადგანაც იგი, გადახურვის გამოკლებით, თავდაპირველი სახით დგას. დიდ ეფექტს ახდენს კოშკის სადა სილუეტი, ქვის გლუვი ბათქაშიანი ზედაპირი და განიერი, ისრისებური მოხაზულობა წითელი აგურის ხვრელებით. მიუხედავად ამისა, ანსამბლი, სასახლის დანგრევის გამო, მთლიან შთაბეჭდილებას ვერ იძლევა — ნაგებობის ძირითადი კომპონენტი ხომ სასახლე იყო.

მკვლევართა მიერ აღდგენილი შთაბეჭდილების საფუძველზე (შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძაღინას სასახლის კომპოზიცია მკაფიო და სადა იყო; ჰორიზონტალურად გაჭიმულ სასახლეს შვეულად აღმართული კოშკი უპირისპირდება, ღიობებით დაცხრილულ ფასადს და აგურის წითელ ფერს — ქვის მასიური ნაგებობა, რომელიც ისრისებური თაღებით გვირგვინდება. სასახლე სიმეტრიულია, კოშკი — ასიმეტრიული. ეს ერთგვარ, მხატვრული დაუმთავრებლობის გრძნობას იწვევს. როგორც ვხედავთ, ანსამბლის ინტერიერი და ექსტერიერი მხატვრულად მაღალ დონეზეა შესრულებული. ყველაზე მკვეთრი მხატვრული ხერხებია მასების კონტრასტული დაპირისპირება, სიმეტრიისა და ასიმეტრიის შეფარდება, სიბრტყეების ცვალებადობა, დეკორატიულობა. ამ პრინციპებით არის ნაგები 1565 წელს აშენებული გრემის სასახლე, ქვემო ჭალა (XVI-XVII სს). ამრიგად, ძაღინას სასახლის მხატვრული ფორმები მჭიდროდ უკავშირდება XVI-XVII საუკუნეთა ძეგლებს. სასახლის დარბაზის გადახურვის კონსტრუქცია XVII საუკუნის შენობებისთვის არის დამახასიათებელი. თვით კოშკი სილუეტით განსხვავდება XVI საუკუნის კოშკებისაგან (გრემის სასახლის, ნინოწმინდისა და შუამთის სამრეკლოებისაგან), მათ ახასიათებთ ვერტიკალური კედლები, უახლოვდებიან სწორ პრიზმას. ძაღინას კოშკის ფორმა კი ზევითკენ ვიწროვდება, გარდა ამისა, საშენ მასალად აქ ქვაა გამოყენებული, აგურით მხოლოდ ისრისებური თაღებია ამოყვანილი. ამ მხრივ ძაღინას კოშკი უახლოვდება მარტყოფის სამრეკლო კოშკს, რომელიც 1699 წელს ააგეს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ძაღინას სასახლე XVI-XVII საუკუნის ძეგლია. გადმოცემით, ძაღინას სასახლე ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდათ. იგი ფეოდალური საქართველოს საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გვიანდელი ნიმუშია.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ღიობი — ხვრეტი ფანჯრის, კარის და მისთანათა კედელში.

ექსტერიერი — შენობის გარეგნული შესახედაობა და აგებულება.

ინტერიერი — შენობის შიგნითა ნაწილი, არქიტექტურულად და მხატვრულად გაფორმებული.

მარში — კიბის ნაწილი ორ ბაქანს შორის (ორ და მეტ სართულიან სახლებში).

მხატვრის ღიმილი

მხატვარი ბივი კეტრიაშვილი



საინტერესო თემაზე

ვის როგორ სძინავს

დედამიწაზე არ არსებობს ისეთი სულიერი, რომელიც არ იძინებდეს. იძინებს ყველა: თევზები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები, შინაური თუ გარეული ცხოველები. იძინებს ადამიანიც. ზოგიერთს უძილობა სჭირს და ამტკიცებს, თეთრად ვათენებ ღამეებსო, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მცირე ხნით მათაც სძინავთ. იქნებ სულ რამდენიმე წუთი, ძალიან შფოთიანად, მაგრამ მაინც სძინავთ. ერთი სიტყვით, ძილი ყველასათვის აუცილებელია, უძილოდ შეუძლებელია სიცოცხლე.

მაგრამ არის გამონაკლისიც. მაგალითად, ფუტკარი. სკაში არასოდეს წყდება ფუსფუსი. თუ დღისით ფუტკრები ღალის შესაგროვებლად დაფრინავენ, ღამით „საშინაო საქმეები“ აქვთ მოსაგვარებელი: ცვილის უჯრები — ფიჭებია ასაშენებელი, სკას დასუფთავება სჭირდება, დედის მიერ დადებულ კვერცხებს მოვლა-პატრონობა, ხოლო ახალგამოჩეკილ თაობას კარგი კვება და მუდმივი ყურადღება. ჰოდა, ფუტკრებიც მუშაობენ. მუშაობენ გამუდმებით და ალბათ იმიტომაც ცოცხლობენ ასე ცოტა ხანს — სულ რაღაც ორიოდე კვირა. ინგლისელმა ბიოლოგმა არტურ თომპსონმა დაწვრილებით შეისწავლა „უძილო“ ფუტკრების ნერვული კვანძები, რომლებიც მათ ტვინის მაგივრობას უწევენ, და ნახა, რომ მათ გადაღლისა და გადაგვარების კვალი ეტყობოდათ. ტვინი აშკარად დაბერებული ჩანდა, თუმცა ფუტკრები ძალზე ახალგაზრდები იყვნენ. ასე რომ, თუ ამქვეყნად მაინც არიან ცხოველები, რომელთაც არ სძინავთ, ისინი უთუოდ ძალზე ცოტა ხანს ცოცხლობენ.

ერთი ცხოველი, მაგალითად, ღამურა, ოპოსუმი და ლემური გაბედავენ, ძილის დროს ხმაურით რომ არ შეწუხდნენ, ყურებს დაიცობენ ხელმე — ყურის ნიჟარებს კეცავენ ან ახვევენ; ფრინველები კი ფრთის ქვეშ მალავენ თავს.

ჩვეულებრივ, ცხოველებმა ფხიზელი ძილი იციან. ცოტა თუ გამოინახება ისეთი, ღრმად ჩაძინების უფლებას რომ აძლევდეს თავს. მცირე ხანს ჩასთვლემენ და მაშინვე თვალებს დააჭყეტენ, ყურადღებით არიან — მტერი არ წამოგვეპაროსო. ჰოდა, ისე გამოდის, რომ ცხოველები ძილისათვის განკუთვნილი დროის უმეტეს ნაწილს თვლემენ.

ცნობილი ორნითოლოგი, ბერლინის ზოოპარკის დირექტორი ოსკარ ჰაინროტი დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა გარეულ იხვებს და დაადგინა, რომ ისინი იძინებენ ნებისმიერ დროს, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემათ. სძინავთ ცოტ-ცოტა ხანს და ხშირად — საშუალოდ 8-10-ჯერ დღე-ღამეში. ასეთივე ხშირი ჩაძინება და გამოღვიძება იციან მინდვრის თაგვებმა, ბაყაყებმა და მრავალმა სხვამ.

არ გეგონოთ, ყველა ცხოველს ამგვარად ეძინოს. არსებობენ ისეთი ცხოველებიც (მათ მონოფაზურ ცხოველებს უწოდებენ), რომლებიც დღე-ღამის ერთ ნაწილს მთლიანად ძილს უთმობენ, მეორეს კი — თავიანთ საქმეებს. ადამიანსაც ასე სძინავს.

მონოფაზურ ცხოველებს ძალიან ბევრი სძინავთ. მაგალითად, შიმპანზეს — 12-13 საათი, ზოგიერთ ფრინველს — 13-16 საათი. ამბობენ, ღორებსაც საკმაოდ უყვართ ძილი. მაგრამ ძილისგუდათა შორის რეკორდი ერთ-ერთი სახეობის გველს ეკუთვნის. ის თურმე შუადღეზე გაღვიძებს ერთი-ორი საათით, ნაყრდეს, და მაშინვე ისევ გულის ძილს მიეცემა მეორე შუადღემდე.

ვინც სად ცხოვრობს, იქვე სძინავს.

ფრინველებს ჰაერში სძინავთ, თევზებსა და წყლის ცხოველებს — წყალში, დანარჩენებს — მიწაზე ან ხეზე. ისე, კაცმა რომ თქვას, მიწაზე ძილი ალბათ ყველაზე უფრო მოსახერხებელია. ზოგი გულაღმა წევს და ისე სძინავს, ზოგი — გვერდზე. ისეთებიც არიან, ფეხზედგომელა, თავდაყირა დაკიდებული ან მჯდომარე რომ გამოიძინებენ ხოლმე სოროში ან პირდაპირ ღია ცის ქვეშ.

დელფინები ზოგჯერ რამდენიმე დღე-ღამე მისდევენ გემებს. მაშ როდისღა სძინავთ? თურმე ცურვის დროს თვლემენ ნახევარ-ნახევარი წუთით. ბოლო წლებში კი გამოირკვა, რომ ამ ნახევარ წუთსაც დელფინის ტვინის მხოლოდ ერთ ნახევარს სძინავს, მეორე კი ფხიზლობს. ეს ფაქტი საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს შავი ზღვის სანაპიროზე, ანაპაში მდებარე სპეციალურ ბიოლოგიურ სადგურში, სადაც დაწვრილებით სწავლობენ ამ საოცარი ცხოველის ქცევას.

ყველაზე საინტერესო ამ მხრივ, ალბათ, სელაპია. მას ორნაირად სძინავს. ერთი ხერხი ასეთია: სელაპი წყლის ზედაპირზე წვება ისე, რომ მარტო ზურგი უჩანს, ცხვირი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალში აქვს ჩაყოფილი; დროდადრო ნახევრადმძინარე თავს ამოსწევს. ნესტოები ავტომატურად გაეხსნება, რამდენჯერმე ჩაისუნთქავს და თავი ისევ წყალში უვარდება. მეორე ხერხი კიდევ უფრო ორიგინალურია; იგი ინგლისელმა ზოოლოგმა ლოკლიმ აღწერა ერთ-ერთ აკვარიუმში ჩატარებული დაკვირვებების შედეგად. სელაპმა თვალები დახუჭა და ნელ-ნელა დაეშვა ფსკერისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ფარფლების ოდნავი მოძრაობით ისევ ზევით ამოცურდა, წყლიდან თავი ამოყო და ქშენა დაიწყო; თექვსმეტიოდეჯერ ღრმად ჩაისუნთქა და მერე ისევ ფსკერზე ჩაეშვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული და მოძრაობა ძალზე შენელებული. ეჭვი არაა, მას ტკბილად ეძინა.

ზღვის ლომებსა და ზღვის წავს — კალანს ზურგზე დაწოლილებს სძინავთ წყლის ზედაპირზე.

წყლის სიღრმეში მცხოვრები თევზები წყალში გაშხლართულები იძინებენ, ფსკერზე მობინადრენი — შლამში ან წყალქვეშა გამოქვაბულებში, პაწია თევზები მარჯნის რიფებს შორის დარჩენილ ხვრელებში მიიყუჟებიან ხოლმე, ციჰლიდების ახალგამოჩეკილ ლიფსიტებს კი დედის პირში მოკალათებულებს სძინავთ.

ზვიგენი წყლის ზედაპირზე ამოდის, გვერდზე გადაბრუნდება, თვალებს ხუჭავს და ასე იძინებს. ამიტომ არის, რომ გემები ხშირად ეჯახებიან მძინარე ვეშაპისებრ ზვიგენებს.

ფსკერზე მცხოვრები თევზებიდან ძილის დროს ზოგი გვერდზე წევს, ზოგი რკალივით მოიხრება ხოლმე, ზოგი კი ან თავზე დგას ან ბოლოზე.

წყლის ბინადრებზე კიდევ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ახლა ცოტა ფრინველებზე ვისაუბროთ, იმ ფრინველებზე, ფრენისას რომ სძინავთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგი მფრინავი გერმანელთა პოზიციების თავზე მიფრინავდა ღ ძრავა გამორთო, რომ არ შეენიშნათ. ასე მიიწევდა წინ სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე, რომ უცებ ნამგალა ჩიტების გუნდის შუაგულში ამოჰყო თავი. ირგვლივ უამრავი პატარა შავი ჩიტი იყო ფრთებგაშლილი და უხმოდ, მოჩვენებებივით დასრიალებდნენ ღრუბლებს ზემოთ. სიცოცხლის ნიშანწყალი არც ერთს არ ეტყობოდა. თუმცა მჭიდრო გუნდად იყვნენ შეკრულნი და ყველანი ერთ მხარეს მიფრინავდნენ. ეძინათ. დიახ, ნამგალებს ფრენისას ეძინათ. თვითმფრინავი რომ მიუახლოვდებოდათ. მთვარეულებივით ჩაყვინთავდნენ ხოლმე მის ცხვირწინ და მეორე წამს ისევ ფრთაგაშლილნი მისდევდნენ კუდში.

მფრინავმა ეს ამბავი ერთ ნატურალისტს უამბო და მანაც ვერ მოისვენა, ვიდრე თვითონ არ გაემგზავრა პატარა თვითმფრინავით მძინარე ნამგალა ჩიტების საძებრად. მართლაც, მეცნიერი არაერთხელ წააწყდა მათ ღამეულ ცაში.

სხვა მეცნიერები ამტკიცებენ, თოლიებსა და ალბატროსებსაც მშვენივრად სძინავთ ხოლმე ზღვის თვალუწვდენ სივრცეებზე გადაფრენის დროსო.

ერთი სიტყვით, ყველას სძინავს, ზოგს დღისით, ზოგს ღამით, ზოგს ნახევარი წუთით, ზოგს თითქმის განუწყვეტლივ; ზოგს დღეში ერთხელ, ზოგს კი ათჯერ. სძინავთ ტკბილად და სიზმრებს ხედავენ. თუმცა არა, სიზმრები მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ზოგიერთი ძუძუმწოვრის ხვედრია. ფერად სიზმრებს კი, რატომღაც ასე ჰგონიათ, მარტო ადამიანი ხედავსო.

მხატვარი ედ. ამგოკაძე





ალექსანდრე დიდებაშვილი

სვეტიცხოველი

მცხეთა, ჰე, მცხეთა,
გულთამპყრობელი...
ხიბლით ავსილა
ქალაქი ესე.
ცისკენ მიილტვის
სვეტიცხოველი,
რომ ლაჟვარდულად
გაბრწყინდეს მზეზე.

მთვარის ქიმივით
ჩუქურთმა ღვივის,
ჩუქურთმა სხარტი,
მერცხლის ფრთიანი.
გუმბათს ამსხლტარი
მთრთოლვარე სხივი
მტკვრის ტალღებს ამსხვრევს
ვერცხლის წკრიალით.

ოსტატის სული
ელვარებს ქვაში,
აქ მარადისობს
წუთისოფელი.
ოცნების აფრებს
მძლავრად ვერ გაშლი,
თუ არ გინახავს
სვეტიცხოველი!

დროის ქროლვასთან
ჭიდილი, შებმა,
თვალის ჩინივით
დაუთმობელი,
თამამი აზრი,
ღველფური გზნება,
გენიის მადლი —
სვეტიცხოველი!

ვაგონები გამოძახებით

სულ მალე დასავლეთ გერმანულ ქალაქ დორტმუნდში ამუშავდება საბაგირო ელექტრორკინიგზა. მისი დანიშნულებაა სტუდენტების მიყვანა ორ ინსტიტუტში, რომელიც ქალაქგარეთაა მოთავსებული. ახლა მასწავლებლებსა და

სტუდენტებს აღარ მოუწევთ სამკილომეტრიანი სიგრძის აღმართ-დაღმართიანი გზის გავლა, თუ, რა თქმა უნდა, ფეხით სიარული არ ურჩევნიათ. თითოეულ ვაგონში 42 კაცი ეტევა. მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 50 კილომეტრია საათში. ვაგონები გაჩერებაზე მოდიან „ელემენტების" გამოძახებით, საკმარისია მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა და სამ წუთში ვაგონი გამოძახების ადგილას გაჩერდება. სიჩქარეს და უსაფრთხოებას კომპიუტერი არეგულირებს.

გაუმაძღარი კენგურუ

რომელმა ცხოველმა გაუჩინა ყველაზე მეტი საზრუნავი ავსტრალიელებს? ბოცვრებმა? ველურმა ძაღლებმა? ამ საკითხში კარგად რომ გავერკვეთ, მივმართოთ ციფრებს. მეხუთე კონტინენტზე ამჟამად რეგისტრირებულია ათას ხუთასი კენგურუზე მონადირე. ერთი კენგურუ თურმე სამჯერ მეტ ბალახს ჭამს, ვიდრე ერთი ცხვარი. უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ავსტრალიის კენგურუთა რიცხვმა ორჯერ მოიმატა და ამჟამად 45 მილიონ სულს შეადგენს, რაც სამჯერ აღემატება ავსტრალიის მოსახლეობას.

ეტნა აფრქვევს... ოქროს

გასული წლის გაზაფხულზე ქვეყანამ გაიგო სიცილიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ვულკან ეტნის ფრიად აქტიური ამოფრქვევის ამბავი. ფრანგმა ვულკანოლოგებმა, რომლებიც ამოფრქვევის შედეგებს სწავლობდნენ, ლავის, ფერფლისა და აირების გამოკვლევის შედეგად საინტერესო ფაქტი დაადგინეს: ყოველდღიურად ეტნა 2,5 კგ ოქროს და 9 კილოგრამ ვერცხლს აფრქვევდა. კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ამოდიოდა ზედაპირზე კალა, თუთია, ვერცხლისწყალი და დარიშხანი.

თვალსაჩინო ზოოლოგია

ვერც ერთი, თუნდაც უმაღლესი ოსტატობით დასურათებული სახელმძღვანელო ვერ შეცვლის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებთან უშუალო კავშირის ეფექტს. ქ. კელნის (გფრ) ზოგიერთ სკოლაში ზოოლოგიის გაკვეთილები უშუალოდ ზოოპარკში ტარდება. ყოველდღიურად მას 1200-ზე მეტი მოსწავლე ეწვევა ხოლმე. მასწავლებლები წინას-

წარ ატყობინებენ ზოოპარკის ადმინისტრაციას გაკვეთილის თემას და ისინიც ამზადებენ „თვალსაჩინოებას", დაწყებული სპილოდან და დამთავრებული კოლიბრით. თუ გაკვეთილისათვის მაინცადამაინც სპილო არ არის აუცილებელი და შეიძლება გამოვიყენოთ უფრო პატარა და უფრო თვინიერი „თვალსაჩინოება", იგი ზოგჯერ პირდაპირ კლასში მიჰყავთ ხოლმე.

სარჩევი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს . . . . . გარეკ. 1
საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ 2
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო . . 3
ვ. მიროშნიჩენკო — უძლეველი და ლეგენდარული (ნარკვევი) . . . . . გარეკ. 4
გ. ძნელაძე — ჩვენი მამული, ჩვენი დედული (ლექსი) . . 7
ნ. აფხაზავა — იუნგა, ცეცხლი! (მოთხრობა, გაგრძელება) . 8
მ. გელაშვილი — ამის იმედი აქვს ქვეყანას, ხალხს (ნარკვევი) 14
ვ. ასლამაზაშვილი — მოთხრობები პურზე 15
აისი; შენი უცხოელი თანატოლები . . . 18
კოცონი 20
ჯ. ნეფარიძე — წყარო; ვაზი (ლექსები) 21
ვ. მელქონიანი — ერთმა დედამ გამოგვზარდა (ლექსი) . . 21
ა. კარბელაშვილი — იქნებ თქვენც გახდეთ კონსტრუქტორები (წერილი) 22
ჰათჰაიოგა გვირჩევს 24
ბუნების კარი; უცხოური იუმორი . . . 26
ახალი წიგნები 27
ა. ჩხარტიშვილი — სასახლე ძაღინაში (წერილი) . . . 28
საინტერესო თემაზე (ვის როგორ სძინავს) . . 30
ა. დიდებაშვილი — სვეტიცხოველი (ლექსი) 31
ჯადოსნური სარკე 32
ცხრაკლიტული; ფოკუსის მიღმა . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიროული, ზურაბ ფვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 22.12. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.2. 84 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2917. ტირაჟი 156800 ეგზ., უე 10114.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 156.800 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1984 წ.

ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲐᲠᲐᲯᲣᲚᲐᲓ: 5. დ. კლდიაშვილის მოთხრობის პერსონაჟი; 7. დაბა მახარაძის რაიონში; 9. მეფის მრჩეველი; 10. ქვის ან ხის სათამაშო, ბზრიალა; 11. სუსტი ქარი; 16. რაიმე გარკვეული მუშაობის შემსრულებელი ხელსაწყო; 17. ვულკანური მინა; 18. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 19. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 23. აზიის სახელმწიფო; 25. ალვის ხე, ანუ... 26. საჯაროდ კითხვა რაიმე თემაზე; 27. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 28. მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების მიერ „ინფორმაციის“ მიღების, შენახვისა და გადაცემის შემსწავლელი მეცნიერება.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲘ: 1. ნაკვერცხლიანი ნაცარი; 2. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისება; 3. რუსი მხედართმთავარი, შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი დამაარსებელი; 4. ხევდიანი, ლირიკული ლექსი; 6. ტიგროსსა და ევფრატს შორის მოთავსებული ტერიტორიის სახელწოდება; 8. სახელმძღვანელო, რომელშიც შერჩევითაა შეტანილი ლიტერატურული ან მეცნიერული თხზულებანი; 12. სახის სალებავი; 13. შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედია; 14. ქალაქი ჩრდილოეთ ალუირში; 15. ქიმიური ელემენტი; 20. ფრანგი კომედიოგრაფი; 21. ინგლისელი მწერალი; 22. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო; 24. ცალკე ოთახი განდეგილისათვის.

შეადგინა ლ. მაჭარაშვილმა



ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

იქ, ჰორიზონტზე რომ მოჩანს,
იმ შორეული მთებიდან
თეთრი არწივი აფრინდა,
ფართოდ გაშალა ფრთები და
შავი არწივი იფრინა
და გამოცლილი ყანწივით
ტრამალზე გადაისროლა
ის შავფრთიანი არწივი.

●

არც საკუთარი სახლი აქვს,
არც სხვა რაიმე ქონება,
უცხოთა ბინას გაალებს
და ურცხვად ეპატრონება.
შვილს აზრდევინებს
მეზობლებს,
თვითონ აიკლო ტყე-ველი:
სხვებს შრომისაკენ მოუხმობს,
თავად ხელგაუნძრეველი.

ნ. მარიხია

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ № 1-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ



ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ფეხბურთის მოედნის კარი ძაბრი, მძიმე სასვენი ნიშანი, ჟანგი, თვალები, მთვარე, ლანდი, თხუნელა.

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

მშვიდობა, სამშობლო.

დარბაზიდან სცენაზე ორი მაყურებელი გამოიძახე და სთხოვე, რომ ერთმა თოკის მარყუჟს, მეორემ კი — თავისუფალ ბოლოს მოკიდოს ხელი, (როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები).

თოკს დიდი ცხვირსახოცი შემოახვიე და ჩვეულებრივად გაკვანძე. თოკი არ უნდა დაიგმოს. ცხვირსახოცის ბოლოები მარყუჟებში გაატარე და ქვევიდან ორი კვანძი გაუკეთე. შემდეგ თანაშემწეებს სთხოვე, მარყუჟებს ხელი უშვან და თოკის თავისუფალი ბოლოები დაგმიმონ. ცხვირსახოცი თოკის შუაში ჩამოეკიდება. შენ მიხვალ ცხვირსახოცთან, ბოლოებს ამოუბრუნებ და ადვილად მოხსნი თოკიდან.

ფოკუსის საიდუმლოება იმაშია, რომ კვანძი „თავისაკენ“ კეთდება. ფოკუსის შესასრულებლად საჭიროა 2 მეტრის სიგრძის თოკი და დიდი ცხვირსახოცი.

ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲕᲐ



ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ Ა. ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘ

ᲓᲐᲘᲚ ᲙᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იალაღზე

როცა მნათის სხივები
ზეცის კარებს აღებენ,
სიზმარეულ მშვენებად
ჩანან იალაღები.

— რა ამშვენებს იალაღს?
— ყვავილები ბრიალა,
ალაგ დეკიანები,
ალაგ არყი შრიალა;

და მეტადრე — მერნების
ჭიხვინი და თქარუნი...
დაე უფრო იმრავლონ
სილაზათედ მამულის!

ფოტო მ. ყორანაშვილისა — ს. ბ ე ჩ ო ე ლ ი

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.